

სამეგრელო

№1 (48) 1.01.2016 - 1.02.2016 ფასი 2 ლარი ყოველწლიური გამოცემა



ელქანდრა კოჩსაშვიას შაშხაშაშვიტი გვიყვები

26

18 ნაპის სის ბუღი მივი სინარულიძის შაშხაშაშვი

გუკაძე გუგუნა და ითარქ გუგუნათაშვილი

თბილისსა და სოხუმს შორის გადაუღიდი სიყვარულის ბანიკა

24

..ნსორიყუ..

17 სალსის კრეაული

14 გორის ღვთისათაშ ახალი ნიგნი ქარიშხარე



სასახლო

მრავალ-მრავალ ახალ წელს
ნამვის ხესე ჩიტი ჯდება,
ოქროს ნისკარტს მღვლა სწევს,
საქართველოს სადიდებლად
მრავალ, მრავალ ახალ წელს!
ხემა გული სიხარულით,
რა თქმა უნდა, ახლაც ძველს,
მშვიდობა და სიყვარული,
მრავალ, მრავალ ახალ წელს!

სახალწლო

- ახალი წლის საღამოა,
ქარი ქრის და ფიფქი ცვივა,
თოვლის საბანს რომ იხურავ,
ნამვის ხეო, არა გცივა?
- არა მცივა, მატარებო,
მე დამიღი თქვენი მათობის
და გასურვებო, რომ თქვენს გულშიც
არასდროს არ დაიწამოროს.
სამთარია, მაგრამ გული
არ ვითბებთ უველას განა?
ხედავთ? თოვლის ბაბუამაც
სახუქრები მოგიტანათ.
უღრან ტყიდან მოვიჩქარი,
იხე მდიერ შემოევარდით,
მე მოვედი, რომ ახალი
მოვილოცოთ წელიწადი.

იხსნახე ჩიხილაკო
თეთრად ელავს ბურბუქელა
და ფიქვის ხეს სურნელს აქმევს.
ხედ კი ბებო ხელა-ხელა
ჰკიდებს ვამღებს,
ვერცხლის კაკლებს,
კანფეტებს და მანდარინებს,
ხურხულებს და ჩირის ასხმას
და თან უხსნის შვილიშვილებს:
- ხემა ირა, ღიღი, ასმათ,
ეს ქართული ნამვის ხეა,
ზამთაქვენის ნახელავი,
აღმათ, მიხვდიო, რად გეწვიათ
- რომ ავიუსოთ კალთა ხვავით.
- რა ჰქვიაო? - თქვა ირაკლიმ.
- რა ჰქვია და... ჩიხილაკი!
და სამივემ ღამაზ სტუმარს
მოუძღვრა ტაძის დაკვრით:
- ვიცით, ვიცით, ჩიხილაკო,
ამ ახალ წელს რისთვის ამკობ,
გსურს მატარებს სახალწლო
სიხარული არ მოგვაკლო!
გავიმარჯვოს, ჩიხილაკო!
იხსნახე, ჩიხილაკო!



ს ა რ ჩ ე ვ ი



 ქრისტეს შობა 2

 ახალი წელი სამეგრელოში..... 4


 ღვთისმშობელი
გვმფარველობდეს, ამინ! 6

 ლაზური ახალი წელი..... 7

 19 იანვარს ქრისტიანული სამყარო
ნათლისღებას აღნიშნავს..... 10

 27 იანვარი წმინდა ნინოს
ხსენების დღეა 11

 **ვ. ჯიბლაძე** —
მისი ყველაზე დიდი ჯილდო
თაობათა სიყვარულია 12

 წიგნი ქართველთა ერთობაზე,
სულზე და თავისუფლების
წყურვილზე. 14

 ანსამბლი „ჩხორონყუ“ 17

 **გივი სიხარულიძე** —
შეურაცხყოფილი ნაძვის ხე 18

 **სერგი მაკალათია** —
ძველი კოლხეთი.....20

 **შოთა ნოზაძე** —
ამერიკიდან ნაფიქრი.....22

 თბილისსა და სოხუმს შორის
გადებული ხიდი სიყვარულისა... 24

 ალექსანდრე კორსანტიას
შემოქმედებითი ტრიუმფი 26

 **მარინა ბაბუნაშვილი** —
ანდერძი, რომელიც
ლეგენდად იქცა 28

 **პავლე ჩაგელიშვილი** —
მეცხოველეობის ინტენსიური
განვითარების ახალი
მიმართულება 30

 გიმონიორილის გამოქვაბული ... 34

 **ვანო ციცცაძე**
საგასტროლო მოგზაურობა 3

 წერილი სოფელ დედამთილს .. 37

 ზუგდიდი სრულიად
საქართველოს ამცნობს 38

 შემოვდგი ფეხი... 40

მთავარი რედაქტორი —
ნინო რახვიაშვილი
ტელ: 599 74 68 10
დამფუძნებელი —
გონა გუტაშვილი
ტელ: 599 53 58 94
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დალი ჯვარაშვილი
ტექსტი ააწყო
თამარ გოგინაძე

ძვირფასო მკითხველო!
გაცნობებთ, რომ რედაქციაში შემოსული
მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს
ავტორი. რაც შეეხება სარეკლამო ტექსტს,
მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის
შემკვეთს ეკისრება.

მისამართი: თბილისი, ლესელიძის ქ. №27,
მე-2 სართული, ოთახი №3, ტელ.: 790 74 68 10
ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

**ჟურნალი მასალების
მართავსა და ფასობს!**



ქრისტეშობა

ქრისტეს უობა

როდესაც ადამიანთა მოდგმის პირველი მშობლები ღვთის აღთქმის დარღვევის გამო სამოთხიდან განიდევნენ, უფალმა თავისი გამოუთქმელი გულმონყალებით დაცემულ კაცობრიობას გამოხსნის აღთქმა დაუდო. ამ აღთქმაში ყოვლადწმინდა ქალწულის შესახებ წინასწარმეტყველებაც იყო: „თესლი დედაკაცისა დათრგუნავს თავსა გველისასა“. ჩვენი მხსნელის ყოვლადწმინდა დედის შესახებ ეს პირველი სასიხარულო უწყება ბევრჯერ განმეორდა, რათა ადამიანები მესიის მომავალი მოსვლისათვის მოემზადებინა.

ბეთლემში იყო დავითის მთელი მოდგმა და ამიტომ ის დავით მეფის საგვარეულო ქალაქად სამართლიანად იწოდებოდა.

ბოლოს მათ მიაღწიეს ბეთლემს, მაგრამ აქ მოსასვენებელი ვერსად იპოვეს. პატარა ქალაქი მომსვლელებით იყო სავსე. წმინდა მწირები ამაოდ ეძებდნენ თავშესაფარს. არავინ მიიღო ისინი, „რამეთუ არა იყო მათა ადგილი სავანესა“. მთელ ქალაქში თავისუფალი კუთხეც კი არსად მოიძებნა. ისინი ადამიანთა საცხოვრებელს უდრტივინველად გამორდნენ და სადგომს ქალაქის შემოგარენში, ჭიშკართან ახლოს ეძებდნენ. ბეთლემის



ჩრდილოეთით, დავითის წყაროდან ორასიოდე ნაბიჯზე, კლდეებს შორის არის გამოქვაბული, რომელშიც ქარიშხლის და უამინდობის დროს მწყემსები პირუტყვთან ერთად თავს აფარებდნენ. გამოქვაბულის სიღრმეში ქვის კლდეში ამოკვეთილი ჩაღრმავება ცხოველებს ბაგის მაგივრობას უწევდა. ამ ლატაკურ გამოქვაბულში მოთავსდნენ წმინდა მგზავრები და სრულ სიწყნარესა და სიმშვიდეში იმყოფებოდნენ, ბრბოს მღელვარებას და ქაოსს მოშორებულნი - მარტონი, უხილავ შემოქმედთან ერთად.

საოცარია ღვთაებრივი განგებულების საქმე! თავისი ამქვეყნიური დიდებით გაამაყებული კეისარი უფლის ნების ბრმა იარაღად გვევლინება, ღვთის განზრახვას ემსახურება. ქვეყნიური მეფის ნებამ მოუხმო იოსებსა და მარიამს ბეთლემისაკენ, რათა ზეციური მეუფის ნება აღსრულებულიყო. იოსები და მარიამი აუცილებლად უნდა წასულიყვნენ ბეთლემში - დავით მეფის სამშობლოში, სადაც სამეფო შტოს საგვარეული ნუსხები ინახებოდა და სახელი იესოსი, რომლის წინაშეც ყოველთა ზეციურ ძალთა მუხლი იდრიკება, წარმართი ხელისუფალის ქვეშევრდომთა შორის ჩანერილიყო. დიდება უფალო, სიმდაბლესა შენსა, დაე, განქარდეს ყოველი ამპარტავნება გულთაგან ჩვენთა!

საიდუმლოების ფარდა ჩამოეფარა ძე ღვთისას აკვანს და ამგვარად აღესრულა ისაიას წინასწარმეტყველება: „აი, ვინ დაივანებს მალალში, კლდეთა სიმაგრეები იქნება მისი საფარი“.

ამ მყარ კლდეებში შუაღამისას ქალწულმა მარიამმა წინასაუკუნეთაგან მამისაგან შობილი უხრწნელი შვა და „მიანვინა იგი ბაგასა“. სასწაულებრივი, ადამიანური ბუნებისათვის მიუწვდომელი იყო მისი მუცლადღება, ასევე სასწაულებრივად, ასევე ზებუნებრივად მოხდა მისი მოვლინება ყმანვილი დედის წინაშე. ასე სხივმფენი მნათობი გაარღვევს მეყდეყლად ღრუბელს, რათა თავისი სინათლითა და სითბოთი ქვეყნიერებას სიცოცხლე მოჰფინოს.

წლის მკაცრ სეზონზე და სრულიად უსახსროდ, არასასურველ ვითარებაში უნდა დასდგომოდნენ იოსები და მარიამი ძნელ გზას. ამ გზის გასავლელად საუკეთესო შემთხვევაში სამ დღე-ღამეზე მეტი იყო საჭირო. ბეთლემი, პატარა ქალაქი, რომელსაც ადრე ეფერათა ეწოდებოდა, იერუსალიმის ჩრდილოეთით მდებარეობდა, ქებრონის გზაზე და ნაზარეთიდან სამი დღის სავალი აშორებდა. დავითი ბეთლემში დაიბადა და მისი მეფედ ცხებაც აქ აღსრულდა.

მხსნელის შობას ტკივილები არ სდევდა თან, ქალწულმა იმგვარად შვა, რომ მთელი თავისი მხიარულება და ძალა შეინარჩუნა. როდესაც ყოვლადწმინდამ ძე თვისი და ღმერთი ჩვენი შვა, დაუყოვნებლად მის სამსახურს შეუდგა. სხვათა დახმარება არ სჭირდებოდა, არც ტკივილსა და არც იმ უძლურებას არ გრძნობდა, რომელსაც ჩვეულებრივ განიცდიან ქალები. დედა ღვთისამ ყოვლადწმინდა ხელებით თვითონვე შეახვია იგი, ბაგაში მიანვინა და პირველმა სცა თაყვანი. თავის ძუძუს აწოვებდა მას, მის მკლავებში განვლო უფლის სიყრმემ,





ქრისტეშობა



დედასთან განუშორებლად გაატარა მან თავისი სიყმაწვილე 30 წლის ასაკამდე, სანამ ადამიანთა მოდგმას განუცხადებდა, რომ საკაცობრიო ცოდვებს საკუთარ თავზე იღებდა, რათა ჯვარზე სიკვდილით ქვეყნიერებისათვის ხსნა მოეწიჭებინა.

თრთოლვითა და მოკრძალებული მღუმარებით სცა თაყვანი იოსებმა ყოვლადწმიდა დედასა და მის ძეს - ჩვენს ღმერთს. განცვიფრების სიხარულით შეპყრობილმა ზებუნებრივი სასწაული განჭვრიტა და დაუყოვნებლივ შეიგრძნო, რომ მისი ძე ჭეშმარიტად სულიწმინდისაგან არის, მიხვდა, რომ იმ დრომდე, სანამ არ შვა ძე თვისი პირმშო, პირმშო ახალი ცხოვრებისა, პირმშო ახალი აღთქმისა, ღვთისმშობელს არ იცნობდა იოსები, არ იცოდა, ვინ იყო იგი და რისი ღირსი გახდა თვითონ, არ იცნობდა მას - დედას ღვთისას, იმიტომ, რომ იოსებისთვის დაფარული იყო, თუ რაგვარი ღვთაებრივი საიდუმლო იმალებოდა მასში. მხოლოდ აქ, ძის ბუნებითი შობის დროს მან მთლიანად გაიაზრა, რომ ამაზედ იყო ნათქვამი: „ქალწულმან მუცლად ილოს“.

კაცობრიობის მეუფის დამხსნელის შობით ღმერთმა ქვეყანას დიდი და ახალი სასწაული მოუვლინა: - სასახლის მაგიერ - უდაბნოს ქვაბული, ლოგინის ნაცვლად - ჩალის ნაგლეჯი, უფალმა, რომელიც ცაში ჩიტსაც კი არ ტოვებს მზრუნველობის გარეშე, თავისი ბრძნული ყოვლისშემძლეობით მხოლოდშობილი ძისთვის მინიერი სავანე არ განამზადა. ძე ღვთისამ, რომელიც ზეცის მფლობელია, ბაგაში განისვენა; სამყაროს უფლისა და მეუფისათვის, როდესაც მან კაცთა სახსენლად ხორცი შეისხა, - ცოდვითა და უკანონობით დაფარულ მინაზე ადგილი არ აღმოჩნდა. თვითონვე მოწმობს ამას, როდესაც ამბობს: „მელთა ხურელი უჩნს და ფრინველთა ცისა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს“. უცნობ ქალს ჩაესახა ქრისტე, ხოლო დიდებულ იერუსალიმში ჯვარზედ აცვეს, მცირე ბეთლემში იშვა იგი, ხოლო დიდ იერუსალიმში სიკვდილად მიეცა. საკვირველ არიან საქმენი შენნი, უფალო!

ძე ღვთისასა შობის წუთებში გაიხსნა ცა, ღვთის დიდებამ განანათლა მინა, რომელიც ღრმა წყვიადით იყო დაფარული, ანგელოსთა დასნი გარდამოვიდნენ მაღლიდან და სიხარულით გალობდნენ, რომ ქვეყანაზე დაემკვიდრა მშვიდობა და ადამიანებს ღვთის წყალობა დაუბრუნდათ.

რას შვრებოდა ამ დროს მინა, - ღვთის დიდებით გაბრწყინებული? ყოველივე ღრმა ძილში იყო ჩაძირული: იუდეველები აღთქმული მესიის მოლოდინში, - რომლისგანაც ქვეყნიურ დიდებას ელოდნენ, - სჯულს იცავდნენ, ხოლო წარმართები თავიანთი კერპების წინაშე იღრჩობოდნენ ცოდვაში.

ბეთლემშიც ასე ეძინათ, მაგრამ არა ყველას. ბეთლემის ველზე, რომელიც მთებით იყო გარშემორტყმული და ქვაბულიდან ნახევარი საათის

სავალზე მდებარეობდა, იდგა სვეტი, რომელიც ედერის სახელით იყო ცნობილი და რომლის სიახლოვესაც დიდი დავით მეფე მამის ფარას მწყემსავდა. ღამით, ამ დროს მწყემსები ცხვარს ედგნენ დარაჯად. მოულოდნელმა სხივმა გაანათა ისინი, უფლის ანგელოსი წინ წარმოუდგათ და უთხრა: „ნუ გემინინ, რამეთუ აჰა, ესერა გახარებ თქვენ სიხარულსა დიდსა, რომელი იყოს ყოვლისა ერისა, რამეთუ იშვა დღეს თქვენდა მაცხოვარი, რომელ არს ქრისტე უფალი ქალაქსა დავითისასა, და ესე იყოს თქვენდა სასწაულად: ჰპოვოთ ყრმა იგი შეხვეული და მწოლარე ბაგასა“.

არც ბრძენთ, არც დიდებულთ, არც ამა ქვეყნის ძლიერთ და მდიდართ არ გამოუცხადა უფალმა თავისი საიდუმლო, არამედ - ყველაზე ღატაკ, ყველაზე უკანასკნელ მაშვრალეებს ამქვეყნად. დაფარა - ყოვლადბრძენთა და გონიერთა წინაშე - და განუცხდა ყრმებს: ჰოი, უპოვარების ნეტარებავ, მორჩილებისა და უსიტყვო თვინიერების მომნიჭებელო, სიამაყისა და ამპარტავნების დამორგულველო! თვით უფალი მისი ღატაკებთან და სიყვარულისა და გულმონყალების წყაროს გარდმოუვლენს მათ. ანგელოსები წავიდნენ ცისკენ, დამთავრდა დიადი ხილვა, მწყემსები გონს მოეგნენ და ყველამ, როგორც ერთმა, გადაწყვიტა, წასულიყო ბეთლემში და ენახა, რაც იქ მოხდა. მათ კარგად იცოდნენ ის ადგილები ბეთლემისკენ მიმავალ გზაზე, სადაც საქონლის ბაგები იყო და სადაც ღარიბი მგზავრები თავშესაფარს პოულობდნენ. წავიდნენ და ჰპოვეს ყოვლადწმინდა ქალწული და ბაგაში მწოლარე ყრმა და თაყვანი სცეს მას.

ანგელოსთა სხივბრწყინვალე გამოცხადებისა და ხარების შემდეგ ღვთაებრივი ყრმა უბრალოებით და სიღატაკით გარშემორტყმული კიდევ უფრო ზეციური და ნათელი ეჩვენათ. თაყვანისსაცემად მისულებმა ყველაფერი მიიტანეს, რაც კი ებადათ: წმინდა სიყვარული, მყარი რწმენა და მხსნელის და მეუფის მხურვალე დიდება. და რადგან სურდათ, საკუთარი ღვთისმოსაური გრძნობა გამოეხატათ, მის ყოვლადწმინდა დედას უამბეს ყველაფერი, რაც ნახეს და ანგელოსთაგან ესმათ. ქალწული მარიამი თვალს ადევნებდა ყველაფერს, რაც მისგან შობილ ღმერთკაცს შეეხებოდა და როდესაც მწყემსების ნაამბობს ისმენდა, მეხსიერებაში იბეჭდავდა და ხარობდა, რომ მოვლენები ღმერთის აღთქმას ადასტურებდა. წმინდა იოსებ დამწინდველი გაოცებული, კრძალვით იდგა ჭეშმარიტი ნათლის წინაშე, ბედნიერმა მწყემსებმა კიდევ ერთხელ სცეს თაყვანი ყრმა ღმერთს და მის ყოვლადწმინდა დედას და თავიანთი მორჩილების აღსასრულებლად წავიდნენ, აქებდნენ და ადიდებდნენ ღმერთს და მთელ მხარეში ავრცელებდნენ სასიხარულო ამბავს - იმ წმინდა ღამეს მომხდარი სასწაულის შესახებ.





სამეგრელოში, ახალი წლის ღამეს თითოეული ოჯახიდან რამდენჯერმე გაისროდნენ თოფს. გათენებისას ოჯახის უფროსი აიღებდა ხელში ჩიჩილაკს და გარეთ გავიდოდა. შემდეგ მოადგებოდა კარებს და დაიძახებდა, კარი გამიღეთო. შინიდან ეკითხებოდნენ, რა მოგაქვსო, რაზეც ოჯახის უფროსი პასუხობდა: „წმინდა ბასილის წყალობა, კაცთა სიმართლე და დღეგრძელობა, ოჯახის აშენება, ოქრო, ვერცხლი, პირუტყვების გამრავლება“ და სხვა ამგვარს. ამ დალოცვას გაიმეორებდა სამჯერ და შევიდოდა სახლში. მიულოცავდა ოჯახის წევრებს ახალ წელს. შემდეგ ჩიჩილაკს შემოათარებდა ბოსელში, მარანში, სასიმინდეში.

მერე სადილობამდე დადიოდნენ მეზობლებთან და ერთმანეთს კანფეტებით, შაქარყინულითა და სხვა ტკბილეულით ახალი წლის დადგომას ულოცავდნენ.



მეგრულ საახალწლო სუფრაზე ტრადიციული კერძების გარდა (ლომი, ელარჯი, საცივი და სხვა) აუცილებლად კეთდებოდა რაიმე უცხო, მეგრული სუფრისათვის ნაკლებად დამახასიათებელი საჭმელი. ეს სუფრას განსაკუთრებულ ღაზათს აძლევდა”.

რიტუალი იწყებოდა მთვარის ამოსვლასთან ერთად, რადგან ძველად დიდი ყურადღება ექცეოდა მთვარეს და მასზე მკითხაობას.


მუკვლეობა საქართველოში

უძველესი ქართული ტრადიცია – მეკვლეობა დასავლეთ საქართველოში ძველით ახალ წლის დილას 14 იანვარს სრულდება. მეორე დღე ბედობა, ანუ „კუჩხა“ იგივე რიტუალით იწყება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ 15 იანვარი უფრო „მძიმე“ დღედ ითვლება. ამ დღეს სახლში აუცილებლად უნდა გესტუმროს ადამიანი, რომელსაც კარგი ფეხი აქვს. ეს ტრადიცია დასავლეთ საქართველოში საუკუნეების წინაც სრულდებოდა, მაგრამ იერსახე არ შეუცვლია. სამეგრელოში ამ დღესასწაულს სხვა, უფრო მნიშვნელოვანი დატვირთვაც აქვს.





კალანდობა



დეკემბრის მინურულს, 28-29-თვის სამეგრელოს სოფლებში საახალწლო მზადება იწყებოდა. ოჯახის უფროსი, ან თუნდაც ახალგაზრდა წევრი, ოღონდ აუცილებლად მამაკაცი, თხილის ან რომელიმე რბილი ხის ჯოხისგან თლიდა ჩიჩილაკს, რომელსაც თავზე ხისავე ჯვარი უკეთებოდა და თხმელისა და

სუროს ტოტებით ირთებოდა. ხის ჯვარზე კი ხილი, უმთავრესად ვაშლი და მანდარინი უკეთებოდა. ბარაქიანობის ნიშნად ჩიჩილაკის ბურბუშელაში ფულსაც დებდნენ. ჩიჩილაკს აუცილებლად ქალები რთავდნენ.



კალანდიმა



გურია-სამეგრელოში ახალი წლის პირველ დღეს „კალანდა“ ეწოდება და მას თოფების სროლით ეგებებიან.

სამეგრელოში ახალ წელს დილაადრიან ოჯახის უხუცესი მამაკაცი ხელში მორთული ჩიჩილაკით და ღომის მარცვლიანი ჯამით, რომელზეც კვერციხი დევს, სახლიდან გარეთ გადიოდა ახალი წლის მოსალოცად. გარკვეული რიტუალის შესრულების შემდეგ სახლში შემოდის, ჩიჩილაკს კუთხეში მიაყუდებდა, ჯამს იქვე მიუდგამდა და თვითონ

საახალწლო ტაბლას მიუჯდებოდა, რომელზეც ელაგა: ღორის თავი, ბასილა თავის ხაჭაპურებით, ხილი და სხვა. საუზმის დაწყებამდე მეკვლე ოჯახის ყველა წევრს ტკბილეულით „დააბერებდა“. საუზმის შემდეგ კი იწყებოდა თუთის წკნელებით საახალწლო მილოცვები.

ახალ წელიწადს სამეგრელოში მამლის ყვირთზე მთელი ოჯახი ფეხზე დგებოდა მამაკაცები ღორის თავს, ბასილას, საახალწლო გობს სანოვავით დატვირთულს, მორთულ ჩიჩილაკს და ცარიელ ჩაფს იღებდნენ და მარნისკენ მიდიოდნენ. მარანში შესვლისას ოჯახის უფროსი ხმამაღულვლად საახალწლო გობს მინაზე დგამდა, ჩაფს ღვინით გაავსებდა და დაჩოქილი წმინდა ბასილას ოჯახის ბედნიერებას სთხოვდა. შემდეგ მეკვლე გობიდან კაკალს იღებდა და წმ. ბასილას ეხვეწებოდა, რომ მას ამ კაკალივით აევსო მისი ოჯახი ყოველივე სიკეთით. ამის შემდეგ პროცესია სახლისკენ გაემართებოდა და ოჯახის წევრები ერთმანეთს ახალ წელს ულოცავდნენ.



ქრისტე დაბადებულაო



„ოცდახუთსა და რამდენსა
შობა გათენებულაო,
შობის მადლი შეგეწიოთ,
ქრისტე დაბადებულაო,
ეს სახლი ვინ ააშენა,
ვინ დახურა მუხის გული?
ამშენებლის დედა ცხონდეს,
დამხურავის მამის სული.
„კოშკიდან“ გადავიხედე,

ერბო გიდგათ ქილებითა,
ალათასა, ბალათასა,
კვერსცი უნდა კალათასა,
აქა ღორი დაკლულიო,
ნაუელარე ჩვენიაო,
ნასამედი თქვენიაო.
ზატარძალო ჩვენო ღვინო,
მარნის კარი გიჭრიალებს,
მარნის ქოცო აგვისადე,
ეული ჩავგიმაჭრიაწე“.



ღვთისმშობელი გვამარჯვებულს, ამინ!



ქრისტეშობას დაგილოცავთ,
დაესწართ მრავალს,
გიდღეგრძელებთ
მამულს, კერას,
გენს და შთამომავალს!
ათი მცნება იუოს ჩვენი
საწეის-დასახამი,
ღვთისმშობელი
გვამარჯვებოდეს,
ამინ!

ტკბილი სიხმარო
ცხადში გენახოს,
და ყველა ნატვრა
ავსრულებოდეს,
ამ შობის ღამეს
რაც კი გენახოს!
მსურს, მოგილოცო
ბრწყინვალე შობა
და ზედ დავურთო
ღვთისმშობლის ღოცვა,
შენი ცხოვრების
მეგზური იუოს,
სიუვარული და
წმინდანთა ღოცვა!

შობის ღამე დგებაო,
სასწაული ხდებაო,
წმინდა სანთელს ავანთებ
ფანჯრის სარკმელზედაო,
შობის ღამეს მოვიხმობთ
დედა ღვთისმშობელსაო,
სახლი მისი სტუმრობით
მადლით ავუვესებაო
შობის ღამე დგებაო,
ქრისტე იბადებაო
ყველა საწაული ხომ
შობის ღამეს ხდებაო!





დაზუნი ახალი წელი

ქრისტეა
თუ ჩიჩილაკი

თურქეთის მინაზე შეპოქჩენული ქრისტეანული ტრადიციები


როგორ ხვდებიან ლაზები ახალ წელს შობასა და ძველით ახალ წელს, „კუჩხას“, რა ტრადიციები შემორჩათ საუკუნეების წინანდელი წინაპრებისგან, რას მოერია და რას ვერ მოერია დრო, რას ნიშნავს თურქეთის მინაზე მცხოვრები ქართველებისთვის ეს დღესასწაულები – ეს ის კითხვებია, რაზეც პასუხი რწმენაშეცვლილ, მაგრამ ქართველობაშენარჩუნებულ ლაზებს აქვთ. ისინი ყველაზე დიდ მნიშვნელობას ძველით ახალ წელს, „კუჩხას“ ანიჭებენ და ამას გარკვეული აზრი აქვს – ჩიჩილაკის თავზე გაკეთებული ხის ჯვარი უბრალოდ მათ ეროვნულობას უსვამს ხაზს. მეკვლეობის დღე ყურძნის წვენში გაზავებული წყლის

გარეშე არ შეიძლება, რაც პირდაპირ მიანიშნებს, რომ ქართველი კაცის გენში ჯვრისა და ვაზის სიყვარული რაღაც ფორმით მაინც ცოცხლობს.

უძველესი ქართული ტრადიცია – მეკვლეობა დასავლეთ საქართველოში ძველით ახალ წლის დილას 14 იანვარს სრულდება. მეორე დღე ბედობა, ანუ „კუჩხა“ იგივე რიტუალით იწყება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ 15 იანვარი უფრო „მძიმე“ დღედ ითვლება. ამ დღეს სახლში აუცილებლად უნდა გესტუმროს ადამიანი, რომელსაც კარგი ფეხი აქვს. ეს ტრადიცია



ჩვენებურები



დასავლეთ საქართველოში საუკუნეების წინაც სრულდებოდა, მაგრამ იერსახე არ შეუცვლია. ლაზეთში ამ დღესასწაულს სხვა, უფრო მნიშვნელოვანი დატვირთვაც აქვს.



დეკემბრის მინურულს, 28-29-თვის ლაზურ სოფლებში საახალწლო მზადება იწყება. მეზობელი თურქები ამ სამზადისს "გურჯულ" ბაირამობას უწოდებენ. ოჯახის უფროსი, ან თუნდაც ახალგაზრდა წევრი, ოღონდ აუცილებლად მამაკაცი, თხილის ან რომელიმე რბილი ხის ჯოხიდან თლის "ქუჩზულას" (ჩიჩილაკი, მეგრულად "ქუჩჩი"), რომელსაც თავზე ხისავე ჯვარი უკეთდება. "ქუჩზულა" თხმელისა და სუროს ტოტებით ირთვება. ხის ჯვარზე კი ხილი, უმთავრესად ვაშლი და მანდარინი უკეთდება. ბარაქიანობის ნიშნად ჩიჩილაკის ბურბუშელაში ფულსაც დებენ.

„სამწუხაროდ, ჯვარს ჩვენთვის უკვე აღარ აქვს ის დანიშნულება, რაც მართლმადიდებლური სამყაროსთვის. ის ჩვენთვის რაღაც ქართულთან,

მშობლიურთან გვაკავშირებს და მხოლოდ ხვავისა და ბარაქის ნიშნად ვიყენებთ. როცა დედა პურებს აცხობდა, ცომს ზედ ჯვრის გამოსახულებას უკეთებდა. სახლის შესასვლელ კარებზეც ჯვარია გამოსახული, ავი თვალისგან იცავსო.

ბაბუაჩემის მამა ჩვენი სოფლის მოლა იყო, მაგრამ ჯვრის მიმართ რაღაც გარკვეული რიდი და მოკრძალება მაინც იყო ჩვენს ოჯახში. უფრო სწორად, რწმენა არა, მაგრამ პატივისცემა მაინც შემორჩათ ლაზებს”, – აცხადებს ჩვენთან საუბარში 24 წლის ლაზი, თანდელ მელუ შამრა ოლი. მას წინაპრებმა ძველი გვარი შემოუნახეს. მელუა – ასე ჟღერდა საუკუნეების წინ ქართველი "აზნოების" (აზნაურის) გვარი.

ლაზი თანდილა მესამე წელია თბილისში ცხოვრობს. ის ყველა მართლმადიდებლურ დღესასწაულს ყურადღებით აკვირდება. „ისე ხდებოდა, რომ ახალი წლებისთვის არდადეგები მქონდა და თურქეთში მივდიოდი. ასე გრანდი-ოზულად, როგორც თქვენ ახალ წელს აღნიშნავთ, თურქეთში ბაირამობას ზეიმობენ. ქეიფი და დროსტარება იქ მიღებული არ არის, მაგრამ ამ დღეებში ყველა ასაკის ადამიანები მშვენივრად ერთობიან.

რაც შეეხება ლაზეთში ახალი წლის აღნიშვნას – ახლით ახალი წელი იქ ნაკლებ მნიშვნელოვანია, მაგრამ შობას ჩვენთან „ქირსეს“ ეძახიან. ჩვენ ვიცით, რომ ახლობელი მეგრელები ამ დღეს ღორს კლავენ. იმ ცნობილი მიზეზის გამო, რომ ჩვენთან ღორის ხორცი საერთოდ გამოყენებაში არ არის, ეს პირუტყვი მუსლიმანური სამყაროდან საერთოდ „ამოგდებულია”, – აცხადებს ჩვენი ლაზი რესპონდენტი.

- „ქირსეს“ როგორ აღნიშნავთ?





ჩვენებურები



ტკბილეული და სუფთა, ახალი წყალი, რომელიც ყურძნის წვენი იქნება გაზავებული. მას “ჯაბალგა” ჰქვია და ჩვენი რწმენით ჯანმრთელობის მომტანია.

საერთოდ, სუფთა წყალი ლაზურ სუფრაზე აუცილებლად უნდა იყოს, თუნდაც ჩვეულებრივი დღე იყოს, არ აქვს მნიშვნელობა. წყალი ალაჰის ცრემლია და მუსლიმმა აუცილებლად უნდა მიიღოს. მით უფრო ასეთი მნიშვნელოვან დღეს.

— **ყურძნის წვენიც საგანგებოდ ამ დღისთვის მზადდება?**

- იმ დღეს მოლა მთვარის ფორმის, პატარა ზომის პურებს არიგებს, რომელიც ოჯახის ყველა წევრმა აუცილებლად უნდა მიირთვას. ამ დღეს სახლის „ქარქანში“, ბანზე წითელ ნაჭრებს კიდებენ. ესეც ძველი ტრადიციაა, მაგრამ რას ნიშნავს, რატომ და რისთვის კეთდება, ახსნა ნამდვილად არ ვიცი.

— **„კუჩხას“ როგორ აღნიშნავენ ტრადიცია-შემონახული ლაზები?**

— „კუჩხა“ მართლაც მნიშვნელოვანი დღეა ლაზებისთვის. ამ ორი დღისთვის თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთელი წლით ადრე ემზადებიან. საგანგებოდ ამ დღისთვის, „კუჩხასთვის“ მზადდება ტკბილეული, რომელიც სუფრაზე აუცილებლად „კუჩხა“ დღეს უნდა იყოს. სიტკბო დაგებებდებო, ასე გვეუბნებოდნენ უფროსები.

— **რაც შეეხება მეკვლეობას, რამდენადაც ვიცი ლაზებში საკმაოდ გავრცელებული ფორმაა, ვინ და როგორ ასრულებს ამ ტრადიციას?**

— „კუჩხა“ აუცილებლად კაცის საქმეა. ამ დღეს ოჯახში უცხო ქალის შემოსვლა არც ერთ ლაზს არ უხარია. ლაზეთში ქალის ფეხი რატომღაც ცუდად აქვთ დაცდილი. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ კუჩხა დღეს მოლა მთვარის პურს, „თუხაქუბალს“ ქალს არაფრით მისცემს. საერთოდაც, ქალები ამ დღეს წმინდა ადგილებზე გავლას ერიდებიან და ცდილობენ იმ დღეს სახლიდან არ გამოვიდნენ. ჩვენს პირობებში ეს თითქმის შეუძლებელია, მაგრამ მაინც

— **ჩიჩილაკს ვინ რთავს ოჯახში?**

— ქალები, დედაჩემი და ჩემი დები, მაგრამ იმ დღის მერე ჩიჩილაკის დაშლამდე მათ არ შეუძლიათ ჩიჩილაკს თითიც მიაკარონ.

— **მეკვლე, ალბათ, დილით ადრე დგება?**

— უთენია, სანამ ჯერ კიდევ ღამეა, „მოკუჩხური“ ადგება. აუცილებლად უნდა ჰქონდეს ღერლილი, სადაც ფული იქნება ჩადებული, ხონჩაზე

— აუცილებლად. ზოგიერთ ღარიბ ოჯახს, ვისაც ყურძნის წვენი არა აქვს, შეუძლია წყალში მურაბა ან უბრალოდ შაქარი ჩაყაროს და ისე დაატკბოს, მაგრამ ეს უკვე „ის“ არ არის, რაც ალაჰის ცრემლად იწოდება ჩვენში. ასე დახუნძლული „მოკუჩხური“ მიადგება სახლის კარებს. აუცილებლად სამჯერ უნდა დააკაკუნოს

— **და რატომ სამჯერ?**

— არ ვიცი, ასეა. არც მიკითხავს, რატომ არის ასეთი წესი არა, მგონი ვიკითხე და პასუხი ვერავინ გამცა. ბევრი რამე დაკარგულია და სამწუხაროდ, არც ამის ახსნა არის შემორჩენილი. მხოლოდ სამჯერ დააკაკუნების შემდეგ „ითხოვს“ კარი გამიღეთო. ოთახიდან ეკითხებიან რა მოგაქვსო. ის ილოცება, ალაჰის რწმენითა და მაღლით გაძლიერება, ბედნიერება, სიხარული ამაზე რალაც ოფიციალური ტექსტი არ არსებობს, ვისაც როგორ შეუძლია, სანამ ჰყოფნის სიტყვის მარაგი, ისე ამბობს. მესამედ უკვე კარს მისით აღებს და ოთახში შემოდის. გზადაგზა წყალს ასხამს და ღერლილს ყრის, თან ილოცება. ოთახში მყოფთ ტკბილეულს ურიგებს. თუ ოჯახში მცირეწლოვანებიც არიან, ხურდა ფულს ურიგებს.

— **რაც შეეხება 15 იანვარს, „მიძმე დღეს“...**

— „კუჩხას“ დღეს ყველას ჰყავს „კარგი“ ფეხის მქონე სტუმარი, რომელსაც საჩუქრებით ხვდებიან. ის აუცილებლად მამაკაცი უნდა იყოს. მეგონა, ეს ტრადიცია საქართველოში უკვე აღარ იყო, მაგრამ ქართველმა მეგობრებმა მითხრეს, რომ მეკვლეობა აქაც არის. ამიტომაც დავრჩი აქ ჩვენი მოკეთე მეგრელის ოჯახში. წინასწარ ამიხსნეს ყველაფერი, ბევრი მსგავსება აღმოვაჩინე, ბევრი რამე შეცვლილია, მაგრამ არა უშავს, მთავარია, საერთო მაინც ბევრი რამ გვაქვს. ლაზეთში რომ ჩავალ ბაბუაჩემს მოვუყვები, რომ ამ დღეს „მისი“ ქართველებიც აღნიშნავენ.



19 იანვარს ქრისტიანული სამყარო ნათლისღებას აღნიშნავს



ნათლისღების დღესასწაულზე და მის წინა დღეს ყველა მართლმადიდებლურ ტაძარში სრულდება წყალკურთხევა დიდი აიაზმის წესით და ნაკურთხი წყალი ურიგდებათ მორწმუნეებს. ამ წყალს უფლის მიერ კურთხეული იორდანის მაღლი ეძლევა და ჩვეულებრივი წყლისგან განსხვავებით, არ იხრწნება. ის შეგიძლიათ მთელი წლის განმავლობაში შეინახოთ და განსაცდელისა და ავადმყოფობის დროს მიიღოთ.

ნათლისღება - ეს არის დღე, როცა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ მდინარე იორდანიაში სიმდაბლით იოანე ნათლისმცემლისგან ნათელილო და წყალი ხრწნილებისაგან განწმიდა, რათა მის მიერ ცოდვათა მიტევა მოენიჭებინა ჩვენთვის.

მაცხოვარმა თვითონ კი არ მიიღო სინმიდე ან როგორც უცოდველი, განწმედას კი არ საჭიროებდა, არამედ ნათელილო ჩვენი შეწვევისათვის, შემუსრა ეშმაკი და განწმედილი წყლით ჩვენი უსჯულოება განბანა.

ნათლისღებისას სულიწმიდის საიდუმლო მოქმედებით ქრისტიანი ქრისტეს სხეულს, ეკლესიას უერთდება. საიდუმლო კი მაღლის უხილავ მოქმედებაში მდგომარეობს: წყალი სხეულს განწმენდს, სულიწმიდა კი გონებისათვის მიუწვდომლად თვით სულს განბანს. განა ეს საკვირველია? – უბრალო მაგალითი მოვიშველიოთ: როცა ცეცხლი რკინის სიღრმეში შედის, ყველაფერი ცეცხლად იქცევა. ამ დროს ცივიც ცხელდება და შავიც ნათდება. თუ კი ნივთიერი ცეცხლი რკინაში შეღწევისას ასე დაუბრკოლებლად მოქმედებს, რაღა გასაკვირია, რომ სულიწმიდა სულის სიღრმეში აღწევდეს? (*კირილე იერუსალიმელი*).

ამ დღეს ღვთის განცხადება ეწოდება, რადგანაც სწორედ მაშინ განცხადდა პირველად სამება – ძე ნათელს იღებდა, სულიწმიდა მტრედის სახით ჩანდა, ხოლო ციდან ისმოდა მამის ხმა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელ მე სათნო ვიყავ“.

ტროპარი:

რაჟამს იორდანეს ნათელ იღე შენ, უფალო, მაშინ სამებისა თაყვანისცემა გამოსჩნდა, რამეთუ მამისა ხმა გენამებოდა, და საყვარელად ძედ სახელ-გდვა შენ, და სული წმიდა სახითა ტრედისათა დაამტკიცებდა სიტყვისა მის უცდომელობასა, რომელი განსცხადენ, ქრისტე ღმერთო, და ყოველი სოფელი განანათლე, დიდება შენდა.

კონდაკი:

განეცხადე დღეს ყოველსა სოფელსა და ნათელი შენი უფალო ან მოისახა ჩუენ ზედა, მეცნიერებით მცნობთა მათ შენთა და განსცხადენ ნათელო შეუხებელო.





27 იანვარი წმიდა ნინოს ხსენების დღეა



საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, 27 იანვარს მოციქულთა სწორის, წმინდა ნინოს ხსენების დღეს აღნიშნავს. წმიდა ნინო წარმოშობით კაბადოკიის ქალაქ კოლასედან იყო. მისი მამა - ზაბულონი საფრანგეთის განმანათლებლად ითვლება. მოციქულთა სწორი ქალწული ნინო საქართველოში დაახლოებით, 323 წელს ჯავახეთის მთებით შემოვიდა. მას ღვთისმშობლის მიერ ბოძებული ვაზის ჯვარი ეპყრა ხელში.

წმიდა ნინო ფარავნის ტბასთან ორი დღე შეჩერდა და მეთევზურთაგან მირთმეული საკვებით ძალა მოიკრიბა. დასასვენებლად მიწაზე მიწოლილს ძილში ბრწყინვალე კაცი ეჩვენა, რომელმაც დაბეჭდილი წერილი მისცა და უთხრა, რომ წერილი წარმართთა მეფისთვის მიერთმია, რადგანაც ამისთვის იყო მოვლენილი. წერილის თავში რომაულად იესოს სახელი ეწერა და როგორც მოსეს ქვის ფიცრებზე, ათი სიტყვა იყო დაწერილი.

ქართველთა განმანათლებლისა და მოციქულთა სწორის, წმიდა ნინოს ქადაგებით, საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად 326 წელს გამოცხადდა. ამ დროს სამეფო ტახტი მეფე მირიანსა და დედოფალ ნანას ეპყრათ.

წმიდა ნინოს ხსენებას საქართველოს ეკლესია წელიწადში ორჯერ დღესასწაულობს: 1(19) ივნისს მისი საქართველოში შემოსვლა აღინიშნება, ხოლო 27(14) იანვარს - გარდაცვალება.

მავინ იწყობ სიტყუად ნინო და თქუა:

...და ვითარცა ვიქმენ მე ათორმეტის წლის, მშობელთა ჩემთა განყიდეს ყოველი, რააცა აქუნდა, და წარვიდეს იერუსალემდ. მაშინ მამამან ჩემმან დაიწერა ჯუარი პატრიაქისაგან და განიჯმნა დედისაგან ჩემისა. და შემიტყებო (ჩამიხუტა) მე მკერდსა მისსა და დამალუარნა, ვითარცა ღუარნი, ცრემლნი თვისნი თუალთა და პირსა ჩემსა. და მრქუა: „შენ მხოლოვო ასულო ჩემო, ესერა დაგიტევებ შენ ობლად ჩემგან და მიგითუალავ შენ ღმერთსა ცათასა, მამასა ყოველთა მზრდელსა და უფალსა, რამეთუ იგი არს მამაა ობოლთა და მსაჯული ქურივთა. ნუ გეშინინ, შვილო ჩემო! ხოლო შენ მაგდანელისა მარიამის შური აღილე სიყუარულისათვის ქრისტესისა და დათა მათ ლაზარესთა. და თუ შენ ესრეთ გეშინოდის მისა, ვითარცა მათ, მან ეგრეთ მოგცეს ყოველი, რააცა სთხოვო მას, ოდეს რა გინდეს მისგან“. და მომცა ამბორება საუკუნო და წარვიდა წიად იორდანესა კაცთა მათ თანა ველურთა, რომელ-რაე ყოფა მისი იცის მისმან უფალმან იესუ.

მოქცევაჲ ქართლისაჲ, შატბერდის კრებული

ტროპარი:

სიტყვისა ღმრთისა მსახურთა თანამოსაგრეო და ანდრიას ქადაგებისა წარმართებო, ქართველთა განმანათლებლო და სულისა წმიდისა ქნარო ნინო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებაჲდ სულთა ჩუენთათვის.

კონდაკი:

მოციქული ქრისტესგან გამორჩეული, ქადაგი სიტყვისა ღმრთისა განსწავლული, მახარებელი ცხოვრებისა, წინამძღვარი ქართველთა ერისა გზათა სიმართლისათა, დედისა ღმრთისა საკუთარი მოწაფე ნინო შევამკოთ დღეს ყოველთა ძნობითა საღმრთოთა, მეოხი მხურვალე, მცველი დაუძინებელი.



მისი ყველაზე რთული ჭრისათვის საიმედო სიყვარულია

ინეზა თოფურია




„როგორც მინიმუმ, ოთხ საიდუმლოს მაინც უნდა ფლობდეს მასწავლებელი: 1. უსაზღვროდ უყვარდეს ბავშვები; 2. უსაზღვროდ უყვარდეს საგანი, რომელსაც ასწავლის; 3. ჰქონდეს უნარი — ეს სიყვარული სხვასაც შეჰყაროს, როგორც სენი უკურნებელი; 4. იყოს უაღრესად თანამედროვე, ჰქონდეს ცოდვა-მადლის ანუ სამართლის გაჩენისა და მოთმინების დიდი უნარი. სხვაგვარად ყველა მცდელობა იმისა, რომ იყო მოძღვარი, ფუჭია, ყალბი და უშედეგო... მთავარი მაინც ის არის, რომ ბავშვმა სკოლაში, როგორც სალოცავ ტაძარში, ისე იაროს და იქ უწმინდესი და უნეტარესი სულიერი მოძღვარი დახვდეს“ — ნოდარ დუმბაძის სიტყვები გამახსენდა, როცა გადავწყვიტე ქალბატონ ინეზა თოფურიას შესახებ დამეწერა. მართლაც ასეა — უსაზღვროდ უყვარს ბავშვები, უსაზღვროდ უყვარს საგანი, რომელსაც ასწავლის, აქვს უნარი, ეს სიყვარული სხვებსაც გადასდოს, არის უაღრესად თანამედროვე. დიახ, იგი მასწავლებელია, საპატიო და საპასუხისმგებლო ტვირთს სიამოვნებით, უდიდესი სიყვარულით ატარებს და არასოდეს უთავდება მოსწავლეებზე ფიქრის საგზალი, ამიტომაც მოვიდა დღემდე ქართული ზნეობითა და ღირსებით მხნედ და ამაყად, ამიტომაც უყვართ და თაობები აფასებენ მის შრომას, ღვანლს. სულ ახლახანს კი — აბაშის საპატიო მოქალაქის წოდებაც მიანიჭეს, რაც მისთვის ერთ-ერთი უდიდესი ჯილდოა.

როგორი მაღალცხებული უნდა იყოს ადამიანი, ათეული წლები სკოლაში გაატაროს, ათასობით გოგოსა თუ ბიჭს საკუთარი სულისა და გულის ნაწილი უწილადოს, სიკეთისა და სიყვარულის მარცვალი ჩასთესოს — ეს შესძლო ინეზა მასწავლებელმა, ათეული წლებია სუფუნის საჯარო სკოლის პედაგოგია, ეს პროფესია მუდამ მოსწონდა, იცოდა, რომ მასწავლებლობა დიდი ხელოვნებაა, ადრიდანვე ეზიარა ამ ხელოვნების სიყვარულს, პროფესიის არჩევაში უდიდესი როლი შეასრულეს მისმა მასწავლებლებმა, განსაკუთრებული სიტბოთი მათემატიკის მასწავლებლებს, ქსენოფონტე ჭანტურიასა და მელიტონ მელაძეს იხსენებს. ინეზა მასწავლებელმა თავიდანვე გაითავისა რომ პედაგოგის მოვალეობა სხვებთან შედარებით უპირატესია, ამიტომაც



ქალი



თვლიან დღეს ინეზა თოფურიას ერთ-ერთ გამორჩეულ და ღირსეულ პედაგოგად — იგი ხომ 52 წელია ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს უძღვება.

ინეზა თოფურია მრავალშვილიანი ოჯახის წევრია, უდაოა, რომ წიგნებისადმი სიყვარული ზოგადად, განათლებისადმი დამოკიდებულება, ხუთივე და-ძმას მშობლების მიბაძვით ჩამოუყალიბდათ, მამას, გრიგოლ თოფურიას კი მთელ რაიონში იცნობდნენ, როგორც განსწავლულ და კარგ მოლექსეს. ინეზა თოფურია ჯერ სოფელ განათლებისკარის სკოლაში სწავლობდა, შემდეგ კი აბაშის მეორე საშუალო სკოლაში, რომელიც 1958 წელს დაასრულა.

1960 წელს ჩაირიცხა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის ფაკულტეტზე, დაამთავრა 1965 წელს დამიენიჭა „საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლის“ კვალიფიკაცია.

ინეზა მასწავლებლის პროფესიული წინსვლა სოფელ ენერის სკოლიდან იწყება, სადაც 8 წელი იმუშავა, მუშაობდა ასევე ზანათის საშუალო სკოლაში ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად. 1975 წლიდან სუჯუნის სკოლაშია — მუშაობდა მათემატიკის მასწავლებლად, 1980 წელს დაინიშნა სუჯუნის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში და მათემატიკის მასწავლებლად, 1998 წელს კი სუჯუნის საშუალო სკოლასთან არსებული „სკოლა-გიმნაზიის“ დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, 2002 წელს სკოლა-გიმნაზია და ელემენტარული სკოლა გაერთიანდა, ინეზა თოფურია სუჯუნის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ (სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში) დაინიშნა. დღემდე სუჯუნის საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელია.

„მაშინ იხარებს მნიდნავი, ოდეს მოითვლის მტევნებსა“ — დავით გურამიშვილისეული სიტყვები ზუსტად ასახავს ინეზა მასწავლებლის დღემდე გამოვლილ გზას — ხარობს მის მიერ დათესილი ცოდნისა და სიყვარულის მოსავლით, მართლაც, მტევნებივით, მარცვალ-მარცვალ რომ ელოლიავენოდა... იგი ამაყად გადახედავს განვლილს, ასევე ამაყად მიყვება: „სწავლა და შრომა ადამიანის სულსა და სხეულს აკეთილშობილებს, ბავშობაში ჩაყრილი საძირკველია ყველაზე მტკიცე და იმედიანი, ამიტომაც ვცდილობდი ჩემს მოსწავლეებში სწავლისა და შრომისადმი სიყვარული გამეღვივებინა. უახლესი ტექნოლოგიების ფონზე, განსაკუთრებით აუცილებელია წიგნისადმი სიყვარული ადრიდანვე ჩავუნერგოთ ადამიანს. თუ გვინდა ხვალინდელი საქართველო ძლიერი, ერთიანი და განვითარებული იყოს, დღეს უნდა

ვიზრუნოთ ამისთვის, მასწავლებელი უნდა იყოს თავისი საქმის პროფესიონალი და ერთგული.

თამამად ვუსწორებ თვალს ჩემს მიერ განვლილ გზას: ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის შედეგად მინიჭებული მაქვს „შრომის ვეტერანის“ ნოდება, დაჯილდოებული ვარ „სახალხო განათლების ნარჩინებულის სამკერდე ნიშნით“. მიღებული მაქვს სიგელები. აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი საზოგადოებრივ საქმიანობებში. 1962 წლიდან სკკპ წევრი, ვიყავი საზოგადოება „ცოდნის“ თავმჯდომარე... ახლაც აქტიურად ვარ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმული, ადამიანი ცხოვრებასთან ყიდილში უნდა იყო მუდამ, ეძიებდე, მუშაობდე. უდიდესი ბედნიერებაა ის სიყვარული და სითბო, რომელსაც მე ვგრძნობ ჩემი ყოფილი და ახლანდელი მოსწავლეებისაგან, კოლეგებისგან, თითოეული ახლობლისა თუ უბრალოდ, ნაცნობისაგან. ასევე უდიდესი ძალაა ჩემი ერთადერთი შვილი არჩილ ხომტარია, რომელიც აბაშის ენერგო სისტემაში მუშაობს მთავარ ინჟინრად, ასეთივე ძალაა რძალი და შვილიშვილი... ილია მეორის სიტყვები უნდა გვახსოვდეს ყველას — პედაგოგს, მოსწავლესა და მშობელსაც: „ყველაზე ეფექტიანია სამი ძალის — ოჯახის, სკოლისა და ეკლესიის შეთანხმებული მოქმედება“. მართლაც ასეა, ამ სამი ძალის ერთიანობაა ყველა სიკეთის სათავე, ყველაფრის განმსაზღვრელი“.

...ყოველ დილით კვლავ ენერგიულად, ხალისით მიიჩქარის სკოლისკენ ეს სანდომიანი ქალბატონი, მასთან საუბარი „კარგი წიგნის ნაკითხვის ტოლფასია“, მასთან ყოველი შეხვედრისას „წარსულის გზა-შარას“ მოვივლით, იქ ბევრ ტკბილ მოგონებასთან ერთად, ტკივილიანი დღეებიც მოიპოვება... მშობლების, მეუღლის, ახლობელი ადამიანების გარდაცვალება სევდითა და ცრემლებითაა გაჯერებული.

...მიიჩქარის ყოველ დილით სკოლისკენ, წმინდა გიორგის ტაძართან ლოცვას ჩურჩულებს და უფალს მადლობას უხდის ყველაფრისათვის, უფალსვე ავედრებს სამშობლოს ბედნიერებას.

ინეზა მასწავლებელი, მასწავლებელთა მასწავლებელი — ასეთად იცნობენ მას და ეს გადაჭარბებული სულაც არ გახლავთ, დაიმსახურო ესოდენ პატივისცემა, მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

ულევ სიხარულს, ნათელ დღეებს გისურვებთ ინეზა მასწავლებლო, თქვენ გაქვთ ამ ქვეყნად ყველაზე დიდი ჯილდო — უამრავი თაობის სიყვარული.


პირიკო ჯიბლაძე

ბაზემი „ამბროლაშრის“ რედაქტორი





წიგნი ქართული ეროვნებაზე, სულზე და ოჯახუფლები წყურვილზე



ხალხის წარმომადგენელთა გენიოსობაში, მტრის წინააღმდეგ შეუნელებელ ბრძოლასა და სპა-მომართა განწყობის წარმოჩენაში. მდინარის შხუილსა და მზის ნათებაში, აკვანთა რწევასა და ურმების ჭრიალში, სიბრძნის საბრძანისადქცეული ქვეყნის სამყობადო აზროვნებასა და ანწყოთი საშთამომავლო ზნეობათა გამოკვერვაში, მსოფლიო აზრთა თანმიდევნებასა და დაუძლეველ წინააღმდეგობის დაძლევის გარდუვალობაში. ქვეყნის ინტერესთა პრიორიტეტის გააზრებაში და სხვა, საარსებოდ ღირსშესანიშნავ ქმედებაში.

ბ-ნი ბორის დავითაია ჭვრეტს გარდასულ საუკუნეთა სუნთქვას. თითქოს 17 საუკუნით უკან დაუხვია და უძველეს კოლხთა სამეფოში ეცხოვროს. არცთუ საოცარია ეგ, თუ დავსძენთ, რომ იგი სისხლხორცეულად უკავშირდება იბერიელთა, ეგრისელთა, ბიზანტიელთა, სპარსთა, ძველი მსოფლიოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ კულტურულ-სოციოლოგიურ რეალობებს, როგორც ისტორიკოსი, მაგრამ მკითხველის სამადლობელს, უაღრესს, აღმოათქმევენებს, სწორედ ის, რომ ავტორი შეეხო კოლხთა ცხოვრებას, რომელიც თურმე თავის კატაკლიზმების კალედოსკოპად უქცევიათ მსოფლიოს უძლიერეს იმპერიებს: ბიზანტიასა თუ სპარსეთს, რათა ხელში ჩაეგდოთ ეს, ედემად მოაზრებული ზღვისპირი კუთხე-ქვეყანა, საკვირველია ის, თუ ვით გაუძლო ასეთ „ქარიშხლებით“ ათასგზის განადგურებულმა ერმა. საუკუნეთა გამუდმებულ-გამეტებულ თავსხმა-სისხლთაღვრას, გამოაღწია „ქარიშხლითა“ ჯურღმულებიდან და შეინარჩუნა სახელმწიფოებრიობა, ვიდრე მასავით ტანჯულ ერტომ-იბერიასთან არ გაერთიანდა. და დღეს, ორი ტანჯულ-გვემილი და ასევე ათასგზის თავის სიმართლით უფლისეულით გადარჩენილი ერი ერთობლივ არსებობას განაგრძნობს და თითქოს არ შეცვლილა რა.

ქართულ კულტურულ სივრცეში ფეხი შემოგდა ბორის დავითაის რომანმა „მზე ქარიშხალში“. სათაურივე გვამცნობს ურთიერთდაპისპირებულ ცნებათა ბრძოლას და ერთიანობას ანუ ადამიანთა, ამჯერად ეგრისელთა — კოლხთა ცხოვრება ქარიშხალს ემსგავსება, ქარიშხალს განუწყვეტელს, მაგრამ კოლხნი ქარიშხალშიც, გმირობაშიც, სისხლთაქცევაშიც ნათელს-მზეს, უფალს სჭვრეტდნენ. ამდენად მრავალ სათაურთაგან, სწორედ „მზე ქარიშხალში“ შეარჩია მწერალმა. მას პოეტიც ეწოდება, რამეთუ წიგნი ეგე აღსავსეა პოეტური მიგნებებით არა მხოლოდ ლექსიკაში, არამედ მთელი პანოს მანძილზე: საუკუნეთა წარმოსახვაში, გონებით განხილულისა და განჭვრეტის მკითხველამდე მაჟორ-მინორით მიტანაში, იდილიათი, მშვენიერებისა და დაუნდობელ მსხვერპლადშენიერვის პოეტიკაში, მეფის კარის ინტრიგებისა და

რომანი „მზე ქარიშხალში“ კოლხეთ-იბერიის ცხოვრებათა უძველესი პერიპეტეების უმნიშვნელოვალესი ტილოა, სადაც განფენილია ამ ორი, უსაშველოდ დაწნეხილი, ერისშვილთა სახელმწიფოებრივად მოშლის უამრავი მცდელობა ომების, ინტრიგების, მზაკვრობათა ციკლის, ბოროტის ბოგინობის გზით, მაგრამ პოეტური მზე,





ახალი წიგნი



რაც უფლისეული ნათელია, აღწევს კოლხ- იბერთა სულში და ასხივოსნებს გადამწყვეტ ნაბიჯებს მეფეთა, მეომართა, გამირთა სისხლს, სულსა და გონებას. საუკუნეთა მანძილზე ეძებდა ორივე ერი კოლხი-იბერი ურთიერთს: ასწონ — აზომავდა ურთიერთობის სულიერებას, განჭვრეტდა სამომავლო გზებს ერთობლივ ცხოვრებაში და მიილტვოდა ურთიერთისკენ, ვიდრე არ გამთლიანდა და არ იწოდა „საქართველოდ“ გზა კოლხეთიდან საქართველომდე უთვალავი კატაკლიზმების ეპოქა იყო. რომანში გადმოცემულია სამი საუკუნის რეალიები. რაა ის მზე, რაც განაპირობებს კოლხთა ცხოვრებას? - ფიქრობს ადამიანი, რომელმაც წიგნის სათაური იხილა, მზე და ისიც- ქარიშხალში? პასუხი ფრიად დამალულია ისევე, ვითარცა გენური კოდი კოლხთა, რომელსაც მიაჩნია თავი სამყაროს აუცილებელ კომპონენტად, მაგრამ არაუბრალო არსად, არამედ მზის და მთვარის შვილად, ვარსკლავთა ბრწყინვალეების დად და ძმად. სულიერ - ფიზიკურად, ამდენად სამყაროს ჩუქურთმად, მოვლენილად გვირგვინად „ შესაქმისა“, როგორც ჯერ არს.

კოლხურმა მითოლოგიებმა ჰღალადეს:

ბჟა დიდა რე ჩქიმი, თუთა - მუმა ჩქიმი. ხვიჩა - ხვიჩა მურიცხეფი, და დო ჯიმარე ჩქიმი“ — სწორედ ეს გენი კეთილშობილი აძლიერებდა წარმოუდგენელ „ქარიშხალს“ გადმოდენილს ქართველთა სხეულზე, სულზე და ცხოვრებაზე. ავტორის დიდებაც იმაშია, რომ მანაც წარმომადგენელმა კოლხური გენისამ, თვალშეუდგამს სააზროვანო სივრცეს კოლხისას-მსოფლიო მაშტაბით გააზრების სიდიადეს, კოლხური კოდით განჭვრეტა და მშვენიერებას და აღმოაჩინა სასწაული: იგი ეძებდა ღმერთს და შეიცნო უფალი ზენაარი, რამეთუ პოეტისა არ იყოს „ უფალო ცაში გეძებდი დიდხანს, თურმე შიგ გულში გქონია ბინა “(გენო კალანდია)“.

ახლა კი ქსოვილი რომანისა „ მზე ქარიშხალში.“ გახლავთ ერთ- ერთი უმშვენიერესი მხატვრული ტილო, დიდი ისტორია იმისა, თუ როგორ აზიდეს თავიანთი მხრებით ეპოქა ქართლებმა-ხალხის ღირსეულმა შვილებმა აღმოსავლეთ საქართველოში ვახტანგ გორგასალმა და დასავლეთ საქართველოში გუბაზ მეფემ და მისმა შთამომავლებმა. განახლების, თავისუფლების წყურვილით შთაგონებულებმა.

სამშობლოს და ხალხის უანგარო სიყვარული, მუდმივი მზადყოფნა თავდადებისთვის — აირა ამოძრავებდა მათ. რაც იყო გარდასულ დღეთა მონაპოვარი და მაგალითი მომავალი თაობებისთვის. რა გამირული სიფხიზლე და დღენიადაგი ცდა იყო საჭირო შეენარჩუნებინათ მამული თვისი. რომ ერის

სიყვარული გაეღვივებინათ მოსახლეობაში, რომელიც ხმალამოღებული იდგა საკუთარი სამშობლოსა და კერიის დასაცავად.

მწერლის სუნთქვა ძლიერი და უფლისეულად ამაღლებული კოლხეთ-იბერიაა. დღეს „საქართველოდ“, რომ იწოდება იგი. ავტორი ეძიებს ფესვებს, საიდანაც მოწინააღმდეგეებს სიბრძნე და იპოვა კიდევ სათავე მისი.- უფალი გამრიგვა ყოვლისა. მკითხველი განსჭვრეტს მრავალ ქვეთემას რომელთაგან თავი და თავი, მაინც ერთტომთა ერთობაა.

ავტორი ხატოვანი ფერებით აღწერს ეგრისელთა მეფე გუბაზ პირველის პიროვნებას, იგი გონიერია, რისკიანი და შეუპოვარია. წინასწარ შეემზადა და უარი თქვა მრისხანე ბიზანტიის იმპერიის დამოკიდებულებაზე. კონსტანტინეპოლის დაუკითხავად თანამეფედ დაისვა შვილი დამნაზე. ეს ნაბიჯი უფრო გონივრული სვლა იყო ვიდრე თავად ეთქვა უარი ინსიგნებების მიღებაზე. ბიზანტიამ ომი გამოუცხადა მოჯანყე მეფეს, მაგრამ ეგრისელები მდგრად დაუხვდნენ და „ჯეჯილოვანთ ველზე“ სასტიკად დაამარცხეს მომხვდური. მიუხედავად ბიზანტიის გამოცდილი სენატორების მცდელობისა გუბაზმა მოხერხებული დიპლომატიური სვლებით ცხრა წელი შეინარჩუნა თავისუფლება. როცა საჭირო გახდა მეფობაზეც უარი თქვა.

მწერალი მიესალმება გუბაზის სახელმწიფოებრივ აზროვნებას. რადგან იგი არ დარჩა ძალაუფლების მონად. ჯერ შვილს გაუყო მეფობა და როცა საჭირო გახდა დასთმო ხელმწიფობა. მისთვის ქვეყნის დამოუკიდებლობა პირად ამბიციაზე უფრო მთავარია. რომ მის იდეას ასაზრდოებდა თავისუფლების იდუმალება. მეფე ეცადა არტახები შეეხსნა მრავალწლიანი შეპოჭილობისთვის, რომელიც ერის სულის შემძვრელი ტკივილი ახლდა თან. საკუთარი ოპტიმიზმითა და ნათელი დღის მოლოდინით სძლია ყოველგვარ განსაცდელს, რომლის მიღმა სამშობლოს გაძლიერების მარად ნანატრი სურვილი იდგა.

ეგრისის მეფებმა საკუთარი სიცოცხლე და ფიზიკური შესაძლებლობები მთლიანად მიუძღვნეს უძველესი კოლხეთის — საუკუნოთა ქართველიგამოვლილი სამშობლოს — ეგრისის მითაჟმიდან შემონახულ, უნიკალური კულტურის, წეს - ჩვეულებებისა და ენისადმი პატივისცემას.

წარმომავლის მთავარი იდეაა წარმოაჩინოს ქართველები როგორ ცდილობენ ცეცხლსა და გრიგალს გამოსტაცონ სამშობლო. სახელოვანმა წინაპრებმა თვალი კი არ გააყოლეს ქვეყნის თავზე გადამავალ შავ გრიგალს, პირიქით, გულში არ დაიტოვეს სევდა, რომელიც





ახალი წიგნი



ერის სულიერ ხვაშიადს წარმოადგენს, ათასწლობით რომ უწინავდა სულს...

არაჩვეულებრივად აღწერს მწერალი სამეფო კარის ინტრიგებს, მათ რთულ ცხოვრებას. საზრუნავთაგან დაღლილ-დაქანცული სუნთქვას, როგორ აღიდგენენ ხალხის შვილებთან სიახლოვეთ. ისინი არიან მრავალთაგან გონიერნი: კიმოთე-ბრძენი სწავლული. მაფშალა-მეისტორიე ბიგანო. მაგრამ განსწავლული. ჯამუ მეგრი — ეტალონური კოლხი ადამიანი, სწავლული, შორსმჭვრეტელი. ყეყვე კი, მზაკვარი, რომელიც ან თრგუნავს მეფის აზროვნებას, ან ნათლს აპოვინებს მას და სხვა.

ავტორი რეალისტია და ფრთებს ასხამს იდეას ერთად თანაცხოვრებისას. სვანნი, აფშილნი, ჭანნი, ლაზნი, მეგრნი : სწორედ ესაა ნატვრის თვალი კოლხისა.- იგი მრავალთა დედაა .დედობა ხომ მოითხოვს სიყვარულსა და ხარებას ყველა შვილთა ?! .დღეს კი, „შვილნაკლული “ დედაა ჩვენი ქვეყანა, მკლავმოკვეთილი დედაა იგი .ამდენად, დღევანდელობასაც მოიცავს რომანი და მოგვაგებებს იდეას მშვიდობითა და უფლისეულით თანაცხოვრებას.

ამდენად რომანი, მრავალ ფაქტს აანალიზებს ჭეშმარიტი კრიტიკრიუმებით, ეძებს სამყაროს მონყობის პრინციპებს, გამოჰკვეთს ქართველი ერის უძველესი ცივილიზაციის უაღრეს მისიას უძველეს სამყაროში - 17 საუკუნის წინანდელი მსოფლიოში., აღწერს კოლხეთისა და იბერიის ღვანლს იმდროინდელ მსოფლო პოლიტიკაში, წარმოაჩენს სახელმწიფო მმართველობის რთულ პერიპეტეებს . გამოავლენს ხალხის ფუნქციას, როგორც დედაბოძიერს, რაც განაპირობებდა ქვეყნის გადარჩენის სასწაულს და აღმოაჩენს პრიორიტეტს უფლის წყალობისას. უფლისეულით ცხოვრებისას, როგორც ჭეშმარიტებას მიუწვდომელს სიმაღლითა თვისითა, მაგრამ წვდენილს ქართველთა სიბრძნითა მათ გამრიგე მიუძღვნის ერს სიმართლეს, სიბრძნეს, ქმედებებს...

მიმაჩნია და მწამს, რომ წიგნი არა მხოლოდ თანამედროვეთ აკავშირებს ურთიერთთან „არამედ ცოცხალთა და გარდაცვლილთა დიალოგის ნიმუშის სავანეა “. ავტორი თანაზიარია მათი ცხოვრების, ვინც საუკუნეთა ქარცეცხლში ჩაფლულა, თითქოს მათ გვერდით უვლია, მათი ჭირ-ვარამი გაუზიარებია, იქნებ ჯამუ მეგრიცაა, იქნებ მაფშალაც, იქნებ კიმოთეც- ვინ იცის?

არა, ასედაცაა და დადის დღეს ადამიანი ,რომელმაც ყური მიუგდო გარდასულ დღეთა მაჯისცემას და ჩვენამდე მოიტანა

მამულის „მზით“ გამთბარი ფერები. ზოგჯერ ცივი, მაგრამ სიმედგრის მაგალითი. თბილი, როგორც ერთტომთა ულევნი სიყვარულია ლამპარი, როგორც თანადგომის სიმბოლო.

ბორის დავითაია, როგორც შემომქმედი იშვიათად ენდობა შიშველ შთაგონებას, თავისი მხატვრული სახეების ძირითად საშენ მასალად პირადი შთაბეჭდილებებთან, ემოციებთან ერთად შეგნებულად იყენებს იმ მრავალსაუკუნოვან სულიერ და ფიზიკურ გამოცდილებას, დღევანდელი საკაცობრიო კულტურის საყრდენი და ბალავარი რომ გახლავთ.

წიგნში სხვადასხვა თაობისა და სხვადასხვა თვალსაზრისის მკითხველი თავის საკუთარ სულიერ საზრდოს იპოვის. თუმცა მწერალი ცდილობს მკითხველი „გადაასახლოს“ წარსულში, მაგრამ ეს ცდა ემსახურება ის შორეული მოგვიანლოვოს, განგვაცდევინოს და დაგვარწმუნოს წინაპართა ძღვევამოსილებასა და სულიერ ფორიაქში. ავტორი არაფერს ართულებს, ის ცდილობს რეალური მოვლენების წარმოჩენას, რომელიც გამთბარია მწერლის ფანტაზიით, რომლის გარეშე შეუძლებელია რთული ეპოქის ეპოპეის მხატვრული გარდასახვა.

„მზე ქარიშხალში“ კლასიკური ტიპის რომანია პერსონაჟთა რაოდენობით, სიუჟეტური სვლებით, თხრობის გაშლილი, საფუძვლიანი ეპიკური მანერებით. მწერალი კი არ ამსხვრევს ისტორიული რომანის ტრადიციულ ქარგას, არამედ, დოკუმენტური მასალების მოხმობით ამდიდრებს მას. ნაწარმოები დაინერა მაშინ, როცა ნაკლებად ექცევა ყურადღება წარსულის დიდების მხატვრულ ტილოდ წარმოჩენას. 700 გვერდიანი ნაწარმოები , რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ინერებოდა ვერ იქნება გარკვეული შენიშვნების გარეშე. თუმცა ის რაც სულის სითბოთი გამთბარი შემოგვთავაზა მწერალმა, არის ჰუმანიზმის გამოვლინება. ალბერთ შვაიცერს აქვს ამგვარი გამოთქმა „**დღეს კაცობრიობის ისტორია ჰუმანურ და არაჰუმანურ მსოფლმხედველობათა ურთიერთობის საკითხს სწყვეტს და თუკი ეს საკითხი ანტიჰუმანიზმის სასარგებლოდ გადაწყდება, კაცობრიობა დაიღუპებაო**“ ბ. დავითაიას წიგნი სავსებით ამართლებს ამ მოსაზრებას, მისი მსოფლმხედველობრივი ასპექტი და ნიაღვრეები სწორედ ადამიანის დიდი სიყვარულითაა ნასაზრდოები.

ლუარა ჯიქია
ფილოლოგი.



ანსამბლი „ჩხორონყუ“



მეგხარი ფორკროხის ოქროს გასაქრები

მე არ ვარ ევროპელი, მე არ ვარ აზიელი, არც ამერიკელი, მე სხვა ვარ, სრულიად სხვა, ის, ვისი ანალოგიც დედამიწაზე არ მოიძებნება — მე ვარ ქართველი. ეს ფრაზა 21 დეკემბრის ღამეს, 22:20 წუთზე ხმამაღლა აღმოვთქვი და ფეხქვეშ მიწა ამითრთოლდა. ფესვებმა ცახცახი იწყეს, სისხლის ნაკადმა ერთი ორად იმატა ძარღვებში. ანსამბლი „ჩხორონყუ“ რუსთავი 2-ის ეთერიდან ჩვენი ქართული საგანძურის დემონსტრირებას ახდენს. ღმერთო ჩემო, მართლაც რომ ღვთისმშობლის ნილნაყარი ქვეყნის შვილები ვართ, ანსამბლ „ჩხორონყუ“-ს შემოქმედნი კი მადლიანი კოლხური მიწისა და ცის ნაჟური ცვარ-ნამით გაუღენთილი, მეგრული ნანით აღზრდილი გუშაგნი არიან, გუშაგნი ქართული სულიერებისა, ფოლკლორისა, ოქროს ფონდისა, მეგრული ფუძისა, სულისა და პოლიფონიისა.

„ჩხორონყუმ“ სცენაზე პატარა სამეგრელო

წარმოადგინა და მაყურებელს თეატრალური სანახაობით კიდევ ერთხელ შეახსენა მეგრელი კაცის კულტურა, ხელოვნება, ხასიათი, ქართულ კინოსა და ლიტერატურაში სამეგრელოს როლი თუ ადგილი. რის გამოც, ანსამბლი „ჩხორონყუ“ ხალხის რჩეული გახდა და ფინალში გადავიდა.

ეს იყო შემთხვევა, როდესაც სიამაყით აღვივსე, რომ ვხელმძღვანელობ ჟურნალ „სამეგრელოს“, სადაც მეგრულ ფოლკლორს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და ამავე დროს, ეს იყო დღე, როდესაც გულწრფელად ვინანე და შემრცხვა, რომ მე არ მესმის მეგრული. ჩვენ ვსაუბრობთ რუსულად, ინგლისურად, მაგრამ არ გვესმის ჩვენი ხალხის. ეს ალბათ გასათვალისწინებელი ფაქტია.

ვულოცავ ანსამბლ „ჩხორონყუს“ ამ ბრწინვალე წარმატებას და გზას დაეულოცავ შემდგომი გამარჯვებისაკენ.

ნინო ჩახვიაშვილი



გივი სისარულიძე

ნოველა



შეუკასხყოფილი ნაძვის ხე

ძველით ახალი წლის საღამოა. ამ ღამეს ადამიანები საბოლოოდ ემშვიდობებიან ძველ წელს. გადავწყვიტე ეს საღამო სახლში მარტო გამეტარებინა. ის იყო, ფიქრებთან განმარტოვებას ვაპირებდი, რომ ზარის ხმამ გამომაფხიზლა. ზღურბლზე მომღიმარი ჩემი კარის მეზობელი იდგა, რომელმაც საახალწლო ვახშამზე მიმიპატიჟა.

მივხვდი, რომ უარის თქმა არ ივარგებდა. ახლავე-მეთქი, ვუთხარი, პიჯაკი მოვიცვი, ორი ბოთლი შამპანური ავიღე და გაღიმებული შევედი მათ ოჯახში.

შესვლისთანავე თვალი მომჭრა უმშვენიერესმა, კოპონია, პატარძალივით მორთულმა საახალწლო ნაძვის ხემ, რამდენიმე წამი ვიდექი და ვეალერსებოდი ბუნების ამ მშვენიერებას. შემდეგ ახლოს მივედი, მის შემამკობელ სათამაშოებს ნაზად შევახეხელი, თითქოსდა მადლობას ვუხდოდი ნაძვის ხის ასე გალამაზებისათვის. საოცარი ჰარმონია სუფევდა სათამაშოებსა და ნაძვის ხეს შორის.

სათამაშოები მანუჟის ჟოკეის მაგონებდნენ, დიდებულ ფრაკებში, გამონყობილები

მიაჯირითებდნენ ახლად გახედნილ კვიცებს, რომლებიც მათთვის

ზეციურ სამყაროს გამოეგზავნა პარტნიორებად. დიახ... ზეციურს, რადგან ამ ყველაფრის შემეყურე, სხვა სიტყვას ვერ ვპოულობდი.

სხვადასხვა ფერისა და ფორმის ბურთულები თოვლის ფიფქებით ეყარა მას. ნეტავ რომელი იყო მისი რჩეული.


შუალამისას დავემშვიდობე ჩემს მასპინძელს და სახლს მივაშურე.

დაახლოებით დღის პირველ საათზე გამომეღვიძა. მშვენიერ ხასიათზე გახლდით. წამოვდექი, მაცივარი გავაღე, ბორჯომი გამოვიღე და პირდაპირ ბოთლიდან დავინწყე სმა. ფანჯარასთან მისულმა

დავინახე, როგორ ღამაზად ბარდნიდა.

მთელი ეზო თეთრად იყო გადაპენტილი. ძალიან მომინდა ძირს ჩასვლა და ჩაცმა დავინწყე.

თხუტმეტ წუთში უკვე სპორტულ ფორმაში გამოწყობილმა კარი გავაღე და რას ვხედავ... ჩემი მეგობარი ნაძვის





პროზა



ხე, რამდენიმე ადგილას ტოტემომტვრეული და განადგურებული თავდაყირა ეგდო კიბის წინ.

თავად კი, თავის კოპნია სათამაშოებს დაშორებული, შეურაცხყოფილ და სახლიდან გამოგდებულ პატარძალს გავდა. გული ჩამწყდა. ლამის ტირილი დავიწყე. კიდევ ერთხელ შევხვდე ნაძვის ხეს და უცებ თვალში მომხვდა მასზე შერჩენილი გამტყდარი სათამაშოს



ნაწილი, რომელიც ნაძვთან ერთად გამოებუნძულდებინათ სადარბაზოში.

გულმა რეჩხი მიყო. აი, თურმე ვინ ყოფილა მისი რჩეული, რომელმაც განშორებას გატეხვა ამჯობინა. მართალია, მისი სხეულის ნახევარი ზიზლით გადაუძახეს სანაგვე ყუთში, მაგრამ მეორე ნახევარი ხომ შერჩა თავის სატრფოს და მასთან ერთად გაიზიარა ხვედრი.

ალბათ დანარჩენები, როგორც ყოველთვის, ოჯახის დიასახლისმა მზრუნველად და გულდაგულ ჩაალაგა ბამბებით ჩაფენილ ყუთში.

მწარედ ჩავფიქრდი ჩვენს ყოფაზე. როგორ ვგავართ ადამიანები ვითომ და უსულო საგნებს: სიხარულითა და ნუხილით, ბედნიერებითა და უბედურებით. თურმე როგორი საჩუქარია ადამიანისათვის, როდესაც ყველასგან მიტოვებულსა და განადგურებულს ვილაცა არ უღალატებს. გვერდში ამოუდგება, თუნდაც სრულიად უსუსური.

ამ ფიქრებით ნელ-ნელა დავეშვი კიბეებზე. ყველა სართულზე სახლიდან უღვთოდ გამობუნძულებულ, განადგურებულ ნაძვის ხეებს ვხვდებოდი. ის იყო, პირველ სართულს მივუახლოვდი, რომ ყურში ჩამწყდა საბრალო ვედრება. მომეჩვენა, რომ

ნაძვის ხეები ერთმანეთს ადამიანის ენაზე ელაპარაკებოდნენ:

— შენც გამოგადეს?

— შენც? —

— შენც? —

უცებ მთელი სისწრაფით კიბეები უკან ავირბინე და სახლში შევბრუნდი. სახლიდან ხერხი და ნაჯახი გამოვიტანე. ჩემს სართულზე დაგდებულ ნაძვს ხელი დავავლე, ეზოში ჩავიტანე. ნახევრად დამტვრეული ტოტეები ლამაზად შევაჭერი და კოპნიად დავამოკლე, რადგან შუაზე გადაეტეხათ ჩემი მეგობარი ნაძვი. მარტო ერთ ტოტს არ შევეხე, აშკარად ჩანდა, თუ როგორი სიყვარულის ხლართებით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული ნუხანდელი კოპნია ნაძვი და უღალატესი სათამაშო.


დამარცხებული ნაძვისთვის ჩემი ავტოფარების გვერდით ორმო საგულდაგულოდ ამოვთხარე, ნაძვი დავრგე და მინა მაგრად დავტყეპნე.

თოვლი ისევ ბარდნიდა. რამოდენიმე წუთში ჩემგან გაცოცხლებული ნაძვის ხე უძირო ცას დაემსგავსა, რომელიც კაშკაშა ვარსკვლავებს დაეფარა.

ეზოს ბავშვებმა ნაძვის ხეს სიმღერით წრე შემოავლეს — ნაძვის ხეო, ნაძვის ხეო, რა გაგვახარეო...

უცებ კოპოლას გახმაურებული ფილმი „ნათლიმამა“ გამახსენდა, სადაც შვილის ცხედართან დახრილი მამა ვიზაჟისტს გამოიძახებს და სთხოვს — მისი სიკეთის სამაგიეროდ აწ გარდაცვლილი შვილი გაუღალაზოს, რათა დედამ ისეთი იხილოს მოკლეული შვილი, როგორიც სიცოცხლეში იყო.

ცრემლები ლაპალუპით წამომივიდა, ჩემს წინ გაცოცხლებული ნაძვის ხე ბავშვებთან ერთად მღეროდა: — ნაძვის ხეო, ნაძვის ხეო, რა გაგვახარეო, ეს რამდენი სიხარული ჩვენ მოგვიტანეო...





ძველი კოლხეთი სერბი მაკალათია

სამეგრელოს ისტორიული წარსული დაკავშირებულია ძველ კოლხეთთან, რომელშიც ტერიტორიულად მთლიანად შედიოდა დღევანდელი სამეგრელო.

მართალია თანამედროვე მეგრელებისა და ძველი კოლხების ერთიანობის საკითხი ჯერ კიდევ დასაბუთებას მოითხოვს, მაგრამ უეჭველია, რომ მათ შორის ტომობრივ - ეთნიური ნათესაობა უნდა არსებულებოდა, ტერიტორიალურად კი მეგრელები კოლხების უშუალო მემკვიდრენი არიან.

ამასთანავე ისტორიულ - პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით ეს მხარე იცვლიდა თავის გეოგრაფიულ - პოლიტიკურ სახელწოდებას, უძველეს დროში მას ეწოდებოდა კოლხიდა ან კოლხეთი, საშუალო საუკუნეების ადრინდელ პერიოდში ლაზიკა ან ეგრისი, შემდეგ ოდიში და ახლა იგი ცნობილია სამეგრელოს სახელწოდებით, ამიტომ სამეგრელოს ისტორიაც იყოფა სამ მთავარ პერიოდად კოლხეთისა, ლაზიკისა და ოდიშ - სამეგრელოსი.

საქართველოს ძველი ისტორია ფაქტიურად კოლხეთის ისტორიით იწყება და ისტორიის ვერცერთი მკვლევარი მას გვერდს ვერ აუხვევს, მაგრამ ამისდა მიუხედავად კოლხეთის ისტორია ჯერ კიდევ შეუსწავლელია.

ანტიკურ მწერლობაში იგი ცნობილია კოლხიდის სახელწოდებით და უძველესი ცნობები მის შესახებ შემონახულია ძველბერძნულ თხზულებებში და მითოლოგიაში, აგრეთვე საბერძნეთისა და რომის საისტორიო მწერლობაში.

მაგრამ კრიტიკულად ეს წყაროები ჯერ კიდევ შესწავლილი არ არის.

ქართულ საისტორიო წყაროებში ძველი კოლხეთის შესახებ ცნობები არ მოიპოვება და სახელწოდება კოლხეთი არც კი იხსენიება.

თვით კოლხებს თავიანთი ისტორიული წარსულის შესახებ არავითარი წერილობითი ცნობები არ დაუტოვებიათ და ისტორიაში

ისინი უმწერლობო ერად არიან ცნობილი. ამასთანავე ძველი კოლხეთის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება ისეთი მთლიანი მონოგრაფიული გამოკვლევა, რომ მასზე ვიქონიოთ ზოგადი წარმოდგენა, ამის გამო რასაკვირველია ერთგვარ სიძნელეს შეიცავს კოლხეთის ისტორიული წარსულის სრული სურათის მოცემა.

საკითხი კოლხების ვინაობისა და მათი წარმოშობის სადაურობაზე საისტორიო მწერლობაში ჯერ არ არის საბოლოოდ დადგენილი და გარკვეული, ამის შესახებ რამდენიმე ჰიპოთეზა არსებობს.

ჰეროდოტეს აზრით კოლხები ეგვიპტელების ჩამომავალი არიან იგიამბობს „კოლხიდის მცხოვრებნი მგონია ეგვიპტელები არიანო, აქ საკუთარ ჩემ აზრს ვამბობ და არა სხვისგან მოგონილს, რადგან ეს აზრი ფიქრად მომივიდა, ცნობები შეეკრიბე ამის თაობაზე, როგორც ეგვიპტელებისა ისე კოლხიდელებისაგან. კოლხიდელებს უფრო მეტი ახსოვთ ეგვიპტელების შესახებ ვიდრე ეგვიპტელებს კოლხიდელებისა.

ეგვიპტელები ამას კი ამბობენ, რომ კოლხიდელები ჩვენის აზრით სეზოსტრისის ჯარის წარჩენიაო. ჩემი აზრი დავამყარე იმაზე, რომ კოლხიდელები შავგვრემანები და თმახუჭუჭები არიან.

კოლხიდელებს, ეგვიპტელებსა და ეთიოპელებს ჩვეულებად აქვთ წინდაცვეთა, მხოლოდ ეგვიპტელები და კოლხები აკეთებენ ერთნაირად სელს, ყოფა - ცხოვრებაც და ენაც ერთმანეთს უგავთო“. ამავ მოსაზრებას იმეორებს დიონისეც, სტრაბონი და სხვები.

ჰეროდოტეს ეს ჰიპოთეზა კოლხებისა და ეგვიპტელების ერთ ჩამომავლობაზე უარყოფილია საისტორიო მწერლობაში.

ბერძენი მწერლები კოლხებს და მოსინიკებს ბიბლიური ნოეს შვილის იაფეტის შთამომავლად თვლიდნენ, მაგ ევსები კესარიელის აზრით კოლხები და მოსინიკები იაფეტის მოდგმისანი არიანო. ეპიფანეც კი კოლხებსა და მოსინიკებს იაფეტისაგან დასახელებს.





ისტორიის ლაბირინთებში

თანამედროვე მეცნიერებაში წამოყენებულია ჰიპოთეზა კოლხების შუამდინარეთიდან გადმოსახლების შესახებ ამიერკავკასიაში და ამ კოლხებს უკავშირებენ ასურულ ლურსმულ ნარწერებში მოხსენებულ კასკაელებს, ამ ჰიპოთეზის მიხედვით პროფესორი ი ჯავახიშვილი თავის გამოკვლევებში ამტკიცებს, რომ კოლხები შთამომავალნი არიან იმ ძველი კასკაიას რომლებიც ცხოვრობდნენ XII - XI ს შუამდინარეთში ძველ ქალდეაში და მოხსენიებული არიან ასურულ ლურსმულ ნარწერებში. აქ ასურელებთან ბრძოლაში კასკები დამარცხებულან და VIII - VII ს ქართველთა დანარჩენ ტომებთან მუშქებთან და თუბალებთან ერთად კაბადოკია - პონტოთი გადმოსახლებულან ამიერკავკასიაში და კასკები დაბინავებულან შავი ზღვის სამხ - დას მხარეს. ეს ჰიპოთეზა უფრო დაფუძნებულია ტერმინების კოლხური და კასკაიას ლინგვისტურ ანალიზზე და იგი არ არის შეჯერებული ისტორიული ხასიათის ფაქტებითა და არქეოლოგიური აღმოჩენებით. ამასთანავე მიგრაციის ეს თეორია ერთგვარ წინააღმდეგობაშია ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე უკვე აღმოჩენილ მატერიალურ კულტურის ძეგლებთან და იმ უძველეს თქმულებებთან რომლებიც დაცული აქვთ ბერძნულ მითოლოგიაში როგორც იყო არგონავტების მოგზაურობა კოლხიდაში.

უკვე ავღნიშნეთ, რომ ეს სახელგანთქმული გალამქრება მომხდარა ჰომეროსის წინა და თვით ჰომეროსი ოდისეაში თავის გმირის ოდისეის მგზავრობას

ადარებს არგონავტების მოგზაურობას.

ჰომეროსის პოემადისეადათარიღებულია ძ ნ XI - X ს და ამის მიხედვით ირკვევა, რომ კოლხეთი ამ დროს დასახლებული ყოფილა კოლხებით, რომელთაც საკმაოდ ძლიერი და სახელმძღვანელო სამეფო შეუქმნიათ, რაც აშკარად ეწინააღმდეგება კოლხების გადმოსახლების თეორიას შუამდინარეთიდან შავი ზღვის სანაპიროზე ძ ნ VII - VI ს.

ამასთანავე არქეოლოგიური აღმოჩენებიც აშკარად მოწმობენ, რომ ძველი კოლხეთის ტერიტორია უძველესი დროიდან დასახლებული ყოფილა. აქ აღმოჩენილი ქვისა და ბრინჯაოს ხანის მდიდარი კულტურა აშკარად მიგვითითებს, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე იყო უწყვეტი მოსახლეობა, რომელსაც გაუვლია ქვისა და ბრინჯაოს ხანა და ისტორიულ პერიოდში აქაურ მოსახლეობას კოლხების სახით შეუქმნიათ საკმაოდ მაღალი კულტურა.

ეს გარემოება ეჭვის ქვეშ აყენებს კოლხების გადმოსახლების თეორიას და ამავე დროს ჩვენ საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ კოლხები და მათი მონათესავე ქართველი ტომები აქაური მკვიდრი აბორიგენები არიან, რომელთა წინაპრებს უძველესი დროიდან უცხოვრიათ აწინდელ საქართველოს ტერიტორიაზე და გაუვლიათ საზოგადოებრივი განვითარების ქვისა და ბრინჯაოს ხანა და ისტორიულ პერიოდში მათ შეუქმნიათ საკმაოდ მაღალი კულტურა.

ბაბრქელვა შემდეგ ნომარში



ცილა მარჯანიშვილი

სურო

ხეს მოეხვია სურო,
 უთხრა: მიუვარხარო,
 ლამაზ გვირგვინს დაგადგამ,
 მხესაც ვერ ნახავო,
 ძირიდან სწიობას დაგიწუებ
 და უულფს მოგიტერ წვერსე,
 მსხვერპლი დარჩები ჩრდილში,
 სხვა ვერ შემოვა წილში,
 სხვაგან ვერ იტყვი ისე,
 ჩუმიად დაგახრჩობ ძილში.

ჭრიჭინას

ერთხელ ხეზე ჭრიჭინამ
 ასე დაიჭრიჭინა:
 ჩემმა ტკბილმა გალობამ
 მამულს გადაურბინა,
 დამწიფდება უურბენი,
 ხილი თუ ყანა,
 არ მწეინდება უშრომლად
 დაჯდომა და ჭამა
 (გალობა და ჭამა),
 როცა მოვა ზამთარი,
 დამებნევა დავთარი,
 დაუბერავს ქარი,
 არ მექნება სახლ-კარი,
 გვიან უნდა ვემებო,
 სადმე თავშესაფარი,
 ღმერთსაც რად ვჭირდებოდ
 ასე გაუკებალი.



აპერიკიან ნაჭიქარი

ნუ შეგაკრთობს გუშინდელი ქარი,
რადგან ჩემში სიყვარული რნება!

შოთა ნოზაძე



არაფერია,
 ყოველდამე
 ძილის წინ თუ კი,
 საკუთარ თავსაც
 არ ჩააგდებ ნამუსის ღირსად...
 გადაგავიწყდა?
 დავრეხილი ცოდვების თოკი,
 თუ ისევ დავგრჩა ,
 ჩამინებულს
 უფალთან ახლოს...
 არაფერია,
 შენი დაფლეთილი
 სულის ნაწილები,
 გუშინდელი თვალის დასუჭვაც
 არაფერია...
 გასაკვირია,
 ღიმილები
 მეტად გაცილებით
 დღის გათენებაც ,
 შენებური ჩანაფიქრია...
 გასაცინია,
 შეიფერე
 ეველა ოცნება,
 გაზაფხულს კინდა
 დაამსგავსო
 ცივი ზამთარი.
 შემოვიჩნდება,

სიზმარეთი
 გულის კოცნებად,
 წარსულს,
 დაშრამულს
 მოადგება ფიქრის
 ლაშქარი...
 გადანდილია!
 საფასური
 შენი ნერვების,
 ფეხისწვერებზე სიარულის
 წუთებიც მოკვდა,
 უნაპიროა,
 სიამაყე
 შენი მშვენების,
 შენი სიმშვიდით
 ეველა ომის
 სურვილი ცნონდა...
 გადაღლილია,
 გულისაკენ
 მოძრავი სისხლი,
 სიგიჟე შენგან
 ვირუსივით გადამდებია,
 გადააფარე დღესაც ისევ
 ცხოვრებას ნისლი,
 მიდინარ მილში,
 სადაც ძილიც
 არაფერია...





ამერიკის ხმა



გადაფიქრება

მარტო უკვდავება რას გვიშველის,
 ჩემო,
 სამთარივით სუსხიანო,
 სულში ჩამისახლდა,
 შენი
 სახე ...
 ალბათ სურნელება უფრო მეტად,
 გასაფხულის ვგავილივით,
 მთებზე გადაშლილი
 მილიონად.
 მინდა
 დაგიკრიფო ვველა ერთად,
 ცალცალკე რომ
 გაჩუქო
 გულიანად...
 მარტო საათები რას გვიშველის,
 ჩემო,
 სასაფხულო მონატრებაჲ..
 მინდა
 გაგიმხილო , გაგიმეტო
 ვველა გაფიქრება მომადგება..
 კარზე სამთარი და
 ქურთუკი განდება
 მთლიანი
 სიტკბოება.
 მარტო შემოდგომას რას უჯერებ,
 მე
 რომ უშენობით ვადამიჭრა,
 ვველა ორშაბათის ჩანაფიქრი,
 შენზე
 ფიქრით ვამიმწესა,
 უპირველესად....

შენთვის დგანარ ავროლებულ გუბეში
 და დროდადრო დათბებულ სისძრებს.
 ჩასქერისარ მოგონებებს სულებში
 და უეურებ წარსულიდან ფირებს...

არც მეტალის ჩიტებია ვარეთ
 და არც ხეებს აღარ სტივავთ ფრთები,
 შენ კი ვინდა ჩაიცინო მწარეთ
 როცა შური ვიუერებს და ხვდები...

არასოდეს გეღვიძება თურმე
 ასეთია დედამიწის ნება...
 ნუ შეგაკრთობს გუშინდელი ქარი,
 რადგან ჩემში სიუვარული დნება!

ნიღაბი

ცხოვრება ირგებს როლებს და ნიღბებს,
 სწექტაკლის ბოლოს მოიხსნის ისევ.
 თითქოს გაურბის მკაცრ რეალობას,
 ეს მეორდება ისევ და ისევ...

აქვს ილუზია, ვზას იმარტივებს
 ამიტომ ფარავს ბევრ სიმანინჯეს.
 ვედარც უსწორებს თვალს სინამდვილეს,
 ეს მეორდება ისევ და ისევ.

რომც შეეზარდოს ნიღაბში სახე,
 თვალები მაინც სიმართლეს ამხელს,
 და თუ მოიხსნის დაგვიანებით
 ნიღაბთან ერთად წააცლის სახეს.



თბილისსა და სოხუმის უღმრის ხედი სიყვარულისა



გოგონა სოხუმში დაიბადა, ბიჭი კი - თბილისში. გაჭირვების მიუხედავად, ერთი და მეორეც თავს ბედნიერად გრძნობდნენ. რატომ გაჭირვება? იმიტომ, რომ მათი ბავშვობა ომის პერიოდს დაემთხვა. მაშინ მთელ ქვეყანას უჭირდა, თუმცა ბავშვი ხომ სახალისოსა და გასართობს ყოველთვის პოულობს. ასე იყო გურანდაც... და ოთარიც.

ოთარი თავის ასაკთან შედარებით საკმაოდ დინჯი გახლდათ. მაშინდელ პიონერთა სასახლეში დადიოდა, ჯერ დრამწრეზე, მერე კი „პიონერფილმში“, თუმცა ფეხბურთი ისე უყვარდა, უბნის ბიჭებთან თამაშზე არასოდეს ამბობდა უარს. გავა დრო და უკვე სახელგანთქმული იტყვის, რომ არა პიონერთა სასახლე, მსახიობი ვერ დავედგებოდიო. ოთარმა იქ გაიცნო თენგიზ არჩვაძე, რომელიც შემდეგ მისი მეგობარი და პარტნიორი გახდა ბევრ ფილმში.

გოგონასთვის ზღვა ისეთივე სისხლხორცეული იყო, როგორიც შეიძლება იყოს დედა, მამა და ან ძმა. ჰოდა, როცა მშობლები სამსახურს მიაშურებდნენ, პატარა გურანდა თანატოლებთან ერთად სანაპიროზე გარბოდა.

გურანდას მამა სოხუმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. პატარა გოგო პლაჟზე არ იყო, მაშინ თეატრში უნდა ყოფილიყო. მსახიობობაზე არც უფიქრია. მას ცეკვა უყვარდა, ბალერინობაზე ოცნებობდა. ომის წლებში, სანამ ცხელი ზაფხული დადგებოდა, ცეკვის სადამოებს ატარებდა ხოლმე. აიყოლიებდა გოგო-ბიჭებს და ეზო-ეზო დადიოდნენ. გააკეთებდნენ სახელდახელო

სცენას, ხეებს შორის თოკს გააბამდნენ, რალაც ქსოვილს ფარდასავით ჩამოაფარებდნენ და კონცერტიც იწყებოდა. სოხუმელებსაც მეტი რა უნდოდათ! შინიდან სკამებს გამოიტანდნენ, ზოგი პირდაპირ აივნიდან უმზერდა სანახაობას და იყო ერთი ყიჟინა, ოვაცია და აპლოდისმენტები. კონცერტის საზღაურსაც გულუხვად იხდიდნენ, ქუჩის მოცეკვავეებს, რომელთა ხელმძღვანელი გურანდა იყო, ხან ხურდა ფულს უყრიდნენ "სცენაზე", ხან საჩუქრებისთვის გამზადებულ კალათში კვერცხებს, ყველის მოზრდილ ნაჭერს ან სხვადასხვა ნუგბარს ულაგებდნენ და ისინიც უსაზღვროდ კმაყოფილი ბრუნდებოდნენ შინ. გურანდას მამას არ უნდოდა, შვილი მოცეკვავე გამხდარიყო, მაგრამ ერთხელაც, როცა გოგონამ სახლში სხვა სანოვაგესთან ერთად ქათამიც მიიტანა, დიდხანს იცინა, მერე კი თქვა: ეს ჩემი გოგო აღარ ხუმრობს. ამ შიმშილობის დროს





მსახიობი



დაგვაპურა, სურსათ-სანოვავით აგვაგვსო, ასე რომ, მის მომავალზე დავფიქრდები, ეგებ მართლა გაჰყვეს ცეკვასო. მოგვიანებით გურანდას მამა ფოთში გადაიყვანეს თეატრის დირექტორად, ცოლ-შვილიც თან წაიყვანა. ერთხანს გურანდა იქ სწავლობდა, თან მამას ეხმარებოდა: ხან ცეკვაავდა, ხან ეპიზოდურ როლს ასრულებდა, ხან სუფლიორობდა. მოგვიანებით გურანდას ცხოვრებაში ისეთი რამ მოხდა, რამაც ძალიან დასწყვიტა გული - მშობლები გაიყარნენ. მამა სოხუმში დაბრუნდა, დედა კი თბილისში წამოვიდა და შვილიც წამოიყვანა. იმ წელს გურანდა სკოლას ამთავრებდა. მამამ სთხოვა, გაგიჭირდება ახალ გარემოში, სჯობს, სკოლა აქ დაამთავრო, შენს მეგობრებთან ერთადო. გურანდამაც დაუფერა და დღემდე ემადლიერება მამას ამის გამო. იმდროინდელი მეგობრობა დღემდე მოჰყვება და აღიარებს, რომ ბავშვობის დროინდელ მეგობრებზე თბილი და უკეთესი არავინ ჰყავს ამქვეყნად.

სკოლის დამთავრების შემდეგ უცებ გადაწყვიტა, სწავლა ქორეოგრაფიის განხრით კი არა, სამსახიობოზე განეგრძო და ჩააბარა კიდევ თეატრალურ ინსტიტუტში. იქ გაიცნო ოთარიც. მეღვინეთუხუცესი ცოტა მკაცრი, ცოტაც ჩაკეტილი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, გურანდა კი მუდამ ხალისიანი, ფორიაქა და ხმაურიანი იყო; - როგორ გაუგეს ერთმანეთსო, - უკვირდა ყველას, მაგრამ ბედი ხომ უცნაური რამ არის, ზოგჯერ სრულიად საპირისპირო ხასიათის



ადამიანებს შეახვედრებს ერთმანეთს და მერე სიცოცხლის ბოლომდე ერთ გზაზე ატარებს. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვანაირები იყვნენ, მშვენივრად შეენყვინნენ ერთმანეთს. პაემანზე ოთარს ყოველთვის მიჰქონდა მისთვის ყვავილები. ერთხელ (მაშინ „კეთილ ადამიანებში“ იღებდნენ), მეღვინეთუხუცესს დააგვიანდა. გურანდა ჯიუტად იდგა და ელოდა. იცოდა, ოთარს არ უყვარდა სიტყვის გატეხა, მით უფრო, არ სჩვეოდა პაემანზე დაგვიანება. გოგო ნერვიულობდა, რამე ხომ არ დაემართათ. როგორც იქნა, ოთარიც გამოჩნდა. შენუხებული იყო, საყვარელ გოგონას ამდენი ხანი რომ აცდევინა ქუჩაში, პირდაპირ გადაღებიდან მოვდივარო, არც ყვავილები ჩანდა. გოგომ შვებით ამოისუნთქა და უცებ ოთარმა პიჯაკის უბიდან იები გამოაჩინა. უსაზღვროდ ბედნიერი გურანდა იის თაიგულს როგორც სასწაულს, ისე დაჰყურებდა.

გურანდა 19 წლის იყო, ხელი რომ მოაწერეს. ოთარს პიჯაკი კი ჰქონდა საზეიმო დღეებისთვის გადანახული, იშვიათად იცვამდა ხოლმე, მაგრამ შესაფერისი შარვალი არ აღმოჩნდა მის მწირ გარდერობში. ხელმოწერამდე სამი დღით ადრე შარვალი თავისი ხელით შეუკურა ირაკლი უჩანეთვილიძემ. მას ეხერხებოდა ასეთი რამეები და თავისთვისაც და მეგობრებისთვისაც ხშირად კერავდა ტანსაცმელს, განსაკუთრებით შარვალი გამოსდიოდა კარგად.

მალე ცოლ-ქმარი სამსახიობო ორომტრიალში ჩაება. შვილი გვიან გააჩინეს, გოგონა. მარიამი დაარქვეს. ოთარს ისე ნდომებია ვაჟი, რომ გოგოს დაბადებამ კარგა ხანს "დაამუნჯა". იმედი ჰქონდა, გურანდა მეორესაც გაუჩენდა, მაგრამ ტოქსიკური ორსულობის გამო ქალმა მეორედ ვეღარ გარისკა. ახლა ამას ძალიან ნანობს. რაც შეეხება ოთარს, ის ცუდად რომ იყო და უცხოეთში მკურნალობდა, ქალიშვილი გვერდიდან არ მოსცილებია. თბილისში დაბრუნებული გამოუტყდა ცოლს,




პიანისტი

ისეთი კარგი გოგო გვყავს, ორ ვაჟკაცს სჯობიაო. გურანდას არაერთხელ უთქვამს, ოთარს არა ჰქვს იოლი ხასიათი, ყოველთვის ვერიდები, როცა უფუნებოდააო. ალბათ, ბევრ ქალს გაუჭირდებოდა მის გვერდით ცხოვრება, მაგრამ როცა ადამიანი ძალიან გიყვარს, მისი "სიმძიმეც" ასატანიაო. ერთხელ თურმე გურანდა შინ ხმამალა ლაპარაკობდა, თან ოთარს რაღაცებს ეკითხებოდა წარამარა, არადა, ოთარი სპექტაკლიდან დაღლილი იყო მოსული, დასვენება უნდოდა. ვინ მოასვენა?! ბოლოს, როცა ძალიან შეღონდა, თავისებურად შეჰყვირა: ქალო, რა დღეში ხარ ან როგორ მიბედავ ამდენ ლაპარაკსო... გურანდა გასუსულა. გაახსენდა, რომ მის ქმარს მეფეების როლები ჰქონდა ნათამაშები (ეკრანზე - მეფე გიორგი, სცენაზე კი - ოიდიპოსი) და გადანყვიტა, რეალურ ცხოვრებაშიც

ისე მოპყრობოდა ქმარს, როგორც მეფეს. იმ დღიდან კარგა ხნის განმავლობაში მეუღლეს ასე ელაპარაკებოდა: "რას მიბრძანებთ, მეფე ბატონო" ან "რა გეამებათ სადილად, რა მოგართვათ?" ოთარი ჯერ ვერ მიხვდა ცოლის ეშმაკობას, შეიფერა კიდეც გადამეტებული ყურადღება და თავაზიანობა. მერე კი, როცა ხშირად მოხვდა მის ყურს "მეფე ბატონო", გულიანად იცინა ცოლის ხრიკზე.

გურანდამ და ოთარმა ერთად განვლეს ცხოვრების აღმართ-დაღმართი. ბევრი სიხარულიც იგემეს და ტკივილიც. ახლა, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის წინ, იქ, სადაც მრავალი წელი გაატარეს, მათი სახელობის ორი ვარსკვლავი „კაშკაშებს“.

მარინა გაბუნაშვილი



ქართველი პიანისტი ალექსანდრე კორსანტია წლებია საქართველოს საზღვრებს გარეთ მოღვაწეობს. დაიბადა 1965 წელს თბილისში. სწავლობდა 43-ე საჯარო სკოლაში. ბავშვობაში ავიაკონსტრუქტორობაზე ოცნებობდა, სათამაშოების აწყობა უყვარდა. ეს ბავშვობისდროინდელი გატაცება დღემდე შემორჩა. აქვს თავის ხელით აწყობილი ეგო-ს კონსტრუქტორების დიდი კოლექცია, რომელსაც, ტრადიციულად, ყოველ ახალ წელს, თითო, ყველაზე რთული ეგზემპლარით ამდიდრებს. მისი, როგორც

პიანისტის, ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის დედას, თბილისის კონსერვატორიის პროფესორს, სვეტლანა კორსანტიას. „არ მახსოვს, როდის დავჯექი ინსტრუმენტთან... 2–3 წლის ასაკში თითებით ვწვდებოდი და ვუკრავდი. ყველასაგან ვგრძნობდი, რომ ჩემი სჯეროდათ“, – იხსენებს მუსიკოსი.

1989 წელს ალექსანდრე კორსანტიამ დაასრულა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საფორტეპიანო ფაკულტეტი – თენგიზ ამირეჯიბის კლასი.



პიანისტი



პირველი წარმატება მოვიდა 1980 წელს, როცა გაიმარჯვა ერევანში გამართულ ამიერკავკასიის პიანისტთა კონკურსზე. 1988 წელს მოიგო სიდნეის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი, ხოლო 1995 წელს არტურ რუბინშტეინის სახელობის კონკურსი თელ-ავივში. პირველი პრემია მოიპოვა, ასევე, პალმის სანაპიროს პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე. 2001 წელს დაუკრა „კარნეგი ჰოლის“ სცენაზე. დღეს იგი ვირტუოზ ქართველ პიანისტთა რიგს მიეკუთვნება.



1992 წელს ალექსანდრე კორსანტია ცოლ-შვილთან ერთად აშშ-ში გადავიდა საცხოვრებლად. თავდაპირველად ლექსო თორაძის მიერ დაარსებულ პიანისტთა სტუდიაში დაიწყო პედაგოგობა. მოღვაწეობდა ინდიანას უნივერსიტეტში, შემდეგ ორი წელი კანადაში, ვანკუვერის უნივერსიტეტში ასწავლიდა. ახლა კი ბოსტონში (აშშ) „ენ ნგლანდ ჩონსერვატორი“-ის პროფესორია და თანამშრომლობს ისეთ ცნობილ მუსიკოსებთან, როგორებიც არიან: ვალერი გერგიევი, პავო ჯარვი, იური ბაშმეტი, ვადიმ რეპინი და სხვ. მისი სტუდენტების ჯგუფი ინტერნაციონალურია, უცხოელებთან ერთად ქართველი მოსწავლეებიც ჰყავს.

ალექსანდრე კორსანტია რეგულარულად მონაწილეობს ამერიკის, ევროპისა და აზიის ქვეყნებში გამართულ მუსიკალურ პროექტებში. ამასთან ერთად სისტემატურად ჩამოდის მშობლიურ თბილისში, მართავს კონცერტებს, ატარებს „მასტერ კლასებს“.

1999 წელს იგი დაჯილდოვდა საქართველოს ღირსების ორდენით. 2009 წელს არჩეულ იქნა თბილისის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის უიურის წევრად.

2015 წელს ათი წელი უსრულდება (დაარსდა 2006 წელს) ყოველწლიურ საერთაშორისო ფესტივალს „აღდგომიდან ამაღლებამდე“. 2011 წლიდან ფესტივალის უცვლელი სამხატვრო ხემძღვანელია ალექსანდრე კორსანტია, რომელმაც მნიშვნელოვნად გაამდიდრა ფესტივალის პროგრამა. ფესტივალი მიზნად ისახავს ახალგაზრდების დაინტერესებას ტრადიციული და აკადემიური ხელოვნებით; ასევე ხელს უწყობს უცხოეთში მოღვაწე ქართველ ხელოვანთა შემოქმედების პოპულარიზაციას სამშობლოში და ცნობილი უცხოელი შემსრულებლების შემოქმედების წარმოჩენას საქართველოში. ფესტივალი იწყება თბილისში, აღდგომის შემდეგ, ბრწყინვალე შვიდეულის კვირაში და გრძელდება ამაღლების დღესასწაულამდე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

ალექსანდრე კორსანტიას მშობლები თბილისში ცხოვრობენ. მისი მეორე ნახევარი ნეია ტრეტიაკოვაა. ისინი თბილისის კონსერვატორიაში ერთად სწავლობდნენ, მერე იქორწინეს. როცა ამერიკაში გადავიდნენ საცხოვრებლად, მათი შვილი, ნიკუშა, ხუთი წლის იყო. იგი მშობლების გზას არ გაჰყვა, მისი გატაცება ბიოლოგია აღმოჩნდა და არჩევანს აღარ უღალატა. დღეს ნიკოლოზ კორსანტია ნეირობიოლოგია და მაგისტრის დიპლომის დაცვა აქვს დაგეგმილი.





სიმონ ჩიქოვანისა და მარიკა ელიავას სიყვარულის ისტორია



თბილისი ყოველთვის სავსე იყო თვალეზიანებული მშვენიერი გოგონებით, მაგრამ მათ შორისაც იყვნენ გამორჩეულები - დები სუსანა და მარიკა ელიავეები. შუსანა მარიკაზე რამდენიმე წლით უფროსი გახლდათ, ამიტომაც ქალაქმა ის უფრო ადრე გაიცნო. ქუჩაში გასულ მზეთუნახავს ყოველთვის ათობით თვალი მიაცილებდა. სწორედ იმ პერიოდში უცნაური ადამიანების ჯგუფი გამოჩნდა თბილისის ქუჩებში: ეცვათ კუბოკრული ტანსაცმელი და ნითელი ბოლოკი ჰქონდათ გულზე მიბნეული. თითქოს ეს არ კმაროდა, ქცევებიც საკმაოდ უცნაური და ახირებული ჰქონდათ. ისინი ფუტურისტები იყვნენ, კითხულობდნენ უცნაურ ლექსებს და ხალხის ყურადღებას იქცევდნენ. ცნობილია ერთი შემთხვევა, რომელზედაც კარგა ხანს ჭორაობდნენ ქალაქში. თურმე რუსთაველის თეატრში, შუა სპექტაკლის დროს, ერთ-ერთი ფუტურისტი უკნიდან მიეპარა გრიგოლ

რობაქიძეს და პარიკი მოჰპარა. ატყდა ერთი ამბავი, მაგრამ გაქცეულს ვინლა დაენოდა?

აი, ასეთი არაორდინარული იყვნენ ფუტურისტები და რა გასაკვირი იყო, რომ სიყვარულშიც სასწაულები ჩაედინათ!

ცნობილი ფუტურისტები გახლდნენ: სიმონ ჩიქოვანი, აკაკი ბელიაშვილი, ბესარიონ ფლენტი, ნიკოლოზ და დემნა შენგელაიები... ერთ მშვენიერ დღეს, როცა რუსთაველის გამზირს სუსანა და კიდევ ერთი ლამაზმანი მოუყვებოდნენ, სიმონ ჩიქოვანს სუსანასკენ კი არ გაექცა თვალი, არამედ მის გვერდით მყოფს მიაჩერდა და მოჯადოებულებით იკითხა:

- ვინაა ეს ანგელოზი?

- ეს მშვენიერი არსება სუსანას დაა, მარიკა, - ღიმილით მიუგო ნიკოლოზ შენგელაიამ. - ეს გოგო ჩემი ცოლი გახდება! - თქვა სიმონმა და იმ დღიდან ყველაფერს აკეთებდა, რომ გოგოს ეს უცნაური ახალგაზრდა მოსწონებოდა.

მარიკა და სიმონი ერთმანეთს რამდენიმე წელი ხვდებოდნენ. სიმონი არ ეპუებოდა მარიკას თავნებობას. გოგო "ახირებულ და ცოტათი შერეკილ" პოეტს გულის კარს არ უღებდა. სიმონი კი განუწყვეტლივ უძღვნიდა მარიკა ელიავას ლექსებს. ისეთ რამეს წერდა, რაც მას სურდა, რაზეც ის ოცნებობდა, ეს მარიკას ძალიან აბრაზებდა და ხშირად ებუტებოდა შეყვარებულ პოეტს. ერთხელ, როცა მარიკა ქობულეთში ისვენებდა, სიმონმა ჩააკითხა და მოინახულა. თან იარაღი ჰქონდა. გოგოს გაუწოდა,



ოჯახი



- აპა, ნახე, რა კარგი რევილვერი მაქვსო. დაინტერესებულმა მარიკამ კარგა ხანს ათვალერა რევილვერი. როცა სიმონმა უკან მოსთხოვა და მანაც დაუბრუნა, ეს უთხრა: ახლა მე ამით თავს მოვიკლავ და ჩემი სიკვდილი შენ დაგბრალდებაო. მარია კვლავ გაუბრაზდა, მაგრამ განაწყენებული გოგოს შემორიგებას სიმონ ჩიქოვანი ისევ ლამაზი ლექსებით და გულწრფელი სიყვარულით ახერხებდა.



შემდეგ წყვილმა ბედნიერების გვირგვინი დაიდგა თავზე, მაგრამ დადგა ავბედითი 1937 წელი და ნიკო, მისი ვაჟი ზურაბი და რძალი თინა, სამივე ერთად დააპატიმრეს. ნიკოს და ზურაბს სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა მიუსაჯეს, თინა კი გადაასახლეს. მათ დარჩათ ვაჟი, პატარა ნიკა, რომელიც უკვე შეუღლებულმა მარია და სიმონმა სასწრაფოდ იშვილეს, რომ ბიჭისთვის "მტრის შვილის" დამლა აეცილებინათ.

მარია ხშირად ცივდებოდა და ავადმყოფობდა. ამას ძალიან დარდობდა სიმონი, რადგან საყვარელ გოგოს ხშირად ვერ ხვდებოდა. ერთხელ, მეგობარმა ჩიქოვანს უთხრა, - რას გადაეკიდე ამ ავადმყოფ გოგოს, გაიხედ-გამოიხედე, რამდენი კარგი გოგო დადისო. პოეტს კი უპასუხია: ჩემი და მარიკას ერთობლივი ცხოვრება წინასწარ მაქვს წარმოდგენილი, მისთვის ფიქრშიაც კი არ მილაღატიაო. როგორც იქნა, ახლა სიმონ ჩიქოვანის ოცნება - მარია ცოლად გაჰყვა. ისინი 1932 წელს დაქორწინდნენ, მაგრამ მალე მარიკას ოჯახს დიდი ტრაგედია დაატყდა თავს. რომ არა სიმონის თანადგომა, იგი ვერ გადაიტანდა ამხელა ტკივილს. მარია ელიავას ოჯახს თბილისში ყველა იცნობდა. მისი მამა, ნიკო, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქალაქისთავი (ახლანდელი მერი - ავტ.) გახდა. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ ნიკო იძულებული გახდა ჟორდანიას მთავრობას საზღვარგარეთ გაჰყოლოდა.

იმისათვის, რომ მამინ მწერლებს და პოეტებს თავი გადაერჩინათ, ნილბის გაკეთება უწევდათ, ზოგჯერ ისინი სახობტო ნაწარმოებებს უძღვნიდნენ სტალინსა და ბერიას. გამოწვევის არც სიმონ ჩიქოვანი აღმოჩნდა. მან ლექსი მიუძღვნა ლავრენტი ბერიას. ეს რომ მარიკამ გაიგო, მწარედ ატირდა. როგორი ასატანი იყო, მისი ქმარი ლექსში აქებდა იმ პიროვნებას, რომელმაც მამა და ძმა დაუხვრიტა, ახალგაზრდა რძალი კი შუა აზიაში გადაუსახლა, მაგრამ მარიკამ ისიც იცოდა, რომ ამას სიმონი ოჯახის გადასარჩენად აკეთებდა. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში სიმონე დიაბეტით დაავადდა. თანდათან მხედველობა დაუქვეითდა, მაგრამ არ უმხელდა მარიკას, რომ არ ენერვიულა.

ცოლ-შვილიც უნდოდა თან წაეყვანა, მაგრამ მამინ ბევრი რამ იყო ხელის შემშლელი და ისინი ბათუმიდან უკან, თბილისში დაბრუნდნენ, ნიკო კი უცხოეთში გაემგზავრა და იმედი ჰქონდა, რომ მოგვიანებით ცოლ-შვილიც შეუერთდებოდა. ბედის ირონიაა, რომ ნიკოს ძმა, შალვა, მე-11 არმიის ერთ-ერთი მეთაური იყო. სწორედ მან გამოამგზავრა ძმის ცოლ-შვილი თბილისში, შემდეგ კი გერმანიაში, სადაც ნიკო სულმოუთქმელად ელოდა ოჯახს. მალე იქ კრიზისი დაიწყო და ნიკომ ქალიშვილები, სუსანა და მარია სკოლიდან გამოიყვანა. სერგო ორჯონიკიძე იმ პერიოდში გერმანიაში ყოფილა (ან იქნებ სპეციალურად ჩავიდა სტალინის დავალებით), ნიკო მოინახულა და უთხრა: სტალინმა დამაბარა, ჩამოვიდეს ნიკო, სოციალიზმი ერთად უნდა ავაშენოთო. სტალინი ელიავებითან მართლაც ახლობლობდა. მათთან სახლში ხშირად დადიოდა, ამიტომ ნიკო ენდო მის სიტყვას და 1924 წელს ოჯახით დაბრუნდა თბილისში. სწორედ მამინ დაადგა თვალი სიმონ ჩიქოვანმა ლამაზ მარიკას. გავიდა დრო. როგორც იქნა, ხანგრძლივი "წვა-დაგვის"

იმისათვის, რომ მამინ მწერლებს და პოეტებს თავი გადაერჩინათ, ნილბის გაკეთება უწევდათ, ზოგჯერ ისინი სახობტო ნაწარმოებებს უძღვნიდნენ სტალინსა და ბერიას. გამოწვევის არც სიმონ ჩიქოვანი აღმოჩნდა. მან ლექსი მიუძღვნა ლავრენტი ბერიას. ეს რომ მარიკამ გაიგო, მწარედ ატირდა. როგორი ასატანი იყო, მისი ქმარი ლექსში აქებდა იმ პიროვნებას, რომელმაც მამა და ძმა დაუხვრიტა, ახალგაზრდა რძალი კი შუა აზიაში გადაუსახლა, მაგრამ მარიკამ ისიც იცოდა, რომ ამას სიმონი ოჯახის გადასარჩენად აკეთებდა. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში სიმონე დიაბეტით დაავადდა. თანდათან მხედველობა დაუქვეითდა, მაგრამ არ უმხელდა მარიკას, რომ არ ენერვიულა.

თავის მხრივ, მარიკაც უმაღლავდა ქმარს, რომ ავთვისებიანი სიმსივნე ჰქონდა. მან ქმარი ბათუმში დასასვენებლად გაამგზავრა, თვითონ კი მამინდელ ლენინგრადში სასწრაფოდ გაემგზავრა ოპერაციის გასაკეთებლად. ეს რომ სიმონ ჩიქოვანმა გაიგო, ისიც მარიკასთან წავიდა. ოპერაციის შემდეგ მარიკას მდგომარეობა დროებით გაუმჯობესდა... ყველანაირად ცდილობდა, ქმრისთვის კვლავ ხელი შეეწყო... როცა სიმონი გარდაიცვალა, ორი წლის შემდეგ ისიც ქმარს მიჰყვა, წინასწარ კი ყველას დაუბარა, დამწვით და ფერფლი ჩემი ქმრის საფლავზე მიმოაბნეო, მინდა იმ მინას შევერიო, სადაც სიმონი ასვენია, მის გარეშე არაფერი ვიყავი, ამიტომ მინდა, ბოლომდე მასთან დავრჩეო.

მარინა გაბუნაშვილი



მეცნიერების ინტენსიური

განვითარების ახალი მიმართულება

ტექნიკური პროგრესისა და წარმოების მასშტაბების ზრდა, უფრო მეტი რაოდენობის მატერიალურ რესურსებს მოითხოვს, უკანასკნელ 20-30 წლის მანძილზე კაცობრიობამ იმაზე მეტი რაოდენობის ნედლეული გამოიყენა, რაც მთელი მისი არსებობის მანძილზე. ამჟამად მსოფლიოს მოსახლეობის 15% კვების პროდუქტების რაოდენობრივ ნაკლებობას განიცდის, ხოლო მოსახლეობის 60% იკვებება არა სრულფასოვანი საკვებით. ცნობილია, რომ კვების პროდუქტების მსოფლიო წარმოებას არ შეუძლია დააკმაყოფილოს ჩვენი პლანეტის მოსახლეობის მოთხოვნილება, ისეთ პროდუქტებზე, როგორცაა ადამიანისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი, ცილები და ამინომჟავები, რომელთა დეფიციტი 20 მილიონ ტონას შეადგენს წელიწადში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცილის გარეშე არ არსებობს სიცოცხლე.

მიუხედავად კვების პროდუქტებისა, ჯერ კიდევ საკმაოდ არა რაციონალურად ვიყენებთ ძვირფას სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს... მისი მნიშვნელოვანი ნაწილი (40-50%) ნარჩენების სახით სანაგვეებზე იყრება.

მსოფლიოს მეცნიერების აზრით კვების პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფა შესაძლებელია კვების პროდუქტების არა ტრადიციული ნედლეულის (ნარჩენების) გამოყენებით. კვების პროდუქტების წარმოებისათვის ნარჩენების გამოყენება საკმაოდ მაღალრენტაბელურია იმის გამო, რომ მათ დამზადებაზე და ტრანსპორტირებაზე უკვე განუთქვამია კაპიტალური დანახარჯები. მათი ძირითადი, მაპროფიტებელი პროდუქციის დამზადების პროცესში, რომლის ოდენობა 60—70%-ს შეადგენს. ხშირ შემთხვევაში ნარჩენებისაგან დამზადებული პროდუქტების კვებითი ღირებულება, არათუ არჩამოუვარდება პირველადი ნედლეულისაგან დამზადებულ პროდუქტს, არამედ მასზე უფრო ძვირად ღირებულია, მაგალითად: ამინომჟავები, საკვები ცილები, საღებავები, სამედიცინო პრეპარატები.

მსოფლიოს ეკონომისტების განგარიშებით კვების პროდუქტების 20—25% შეიძლება მივიღოთ ნარჩენებისა



და მეორადი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით.

საქართველოში კვების მეორადი ნედლეულის გამოყენება ყოველწლიურად 2,5 მლნ ტონას აღწევს; მათ შორის ერთი მილიონ ტონაზე მეტი წარმოიქმნება კვების, ვაჭრობის, მსუბუქი მრეწველობის სანარმოებში და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, მაკულატურის სახით, რომელთაგანაც შესაძლებელია მაღალი კონცენტრაციის ცხოველთა საკვების გამოყენება, იმ დროს როდესაც ტრადიციულ საკვებში ცილების შემადგენლობა არ აღემატება 10—15%-ს.

ასეთივე მდგომარეობაა ადამიანის კვებაში. სტატისტიკური მონაცემებით ცილის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე დღე დამეში 1990 წლისათვის განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში შეადგენდა 92 გრამს. დანარჩენ ქვეყნებში 54,6 გრამს, მათ შორის ცხოველური ცილების 17—20 გრამს, ნაცვლად 59 გრამისა. ყველაზე ოპტიმისტური განგარიშებით, ამჟამად მსოფლიოში საკვები ცილის დეფიციტი შეადგენს 20 მლნ ტონას.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფართობების ზრდა და სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია, საკმარისი არ არის ცილის დეფიციტის დასაფარავად. ამიტომ მეცნიერებამ გამოიხატა ცილის დეფიციტის დაფარვის ერთ-ერთი რეალური გზა — მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნარჩენებისაგან ცხოველთა საკვები ცილების მიღების მიკრობიოლოგიური მეთოდი. ამრიგად წარმოიშვა ცილოვანი პროდუქტების მრეწველობის ახალი დარგი. — მიკრობიოლოგიური მრეწველობა.

მეორადი ნედლეულისაგან მიკროორგანიზმებს, შეუძლია დააგროონ დიდი რაოდენობით (30—50%-ს) შემცველობის ცილები. ცილების მიღების მიკრობიოლოგიური მეთოდი, მცენარეული და ცხოველური ცილებისა და ამინომჟავების მიღების ერთ-ერთი პერსპექტიული და მაღალრენტაბელური მეთოდია, მისი უპირატესობაა ბიომასის მიღების მცირე დრო (2-2,5 დღე) და მაღალი ეფექტიანობა. ამ მეთოდის გამოყენებით საკვები ცილები მიიღება 500-ჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე ყველაზე მაღალმოსავლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისაგან და 1000 — 5000 ჯერ, უფრო სწრაფი, ვიდრე ყველაზე პროდუქტიული





მეცნიერება



ცხოველებისაგან. ამასთან მისი მიღება ნაკლებად შრომატევადია, მიკროორგანიზმები გადაამუშავებენ კვების ნარჩენებს აპარატებში, ექვემდებარებიან პროცესების ავტომატიზაციას, დამოკიდებული არაა გარემო პირობებზე, მისი ორგანიზაცია შესაძლებელია დედამიწის ნებისმიერ ტერიტორიაზე. მიკროორგანიზმების საკვებად გამოყენება კვებისა და სოფლის მეურნეობის წარმოების ნარჩენები და მეორადი ნედლეული, რომელიც დღეს სანაგვეებზე იყრება და წამლავს ატმოსფეროს.

ამჟამად ამინომჟავების წარმოების მოცულობამ მსოფლიოში 400 ათას ტონას გადააჭარბა. მათი მწარმოებელი ქვეყნებია: იაპონია, საფრანგეთი, და აშშ. საბჭოთა კავშირში 1967 წელს შეიქმნა მიკრობიოლოგიური მრეწველობის მთავარი სამმართველო. 1978 წელს ამ დარგმა მეცხოველეობასამისცა 15ჯერმეტისაკვებისაფუარი ვიდრე 1966 წელს. მსოფლიოს განვითარებულმა ქვეყნებმა ამ მიზნით უკვე გადადგეს პრაქტიკული ნაბიჯები. კერძოდ ამერიკაში ცილებს ლებლობენ ჭარხლის, ლერწმის, თამბაქოსა და ქალაღდის მრეწველობის, ნახერხებისა და ცელულოზის შემცველ სოფლის მეურნეობის ნარჩენებისაგან. ლუიზიანასა და ტეხასის უნივერსიტეტებში სამრეწველო ფირმებთან ერთად შემუშავებულ იქნა ცილის სამრეწველო დანადგარის პროექტი 60 ათასი ტონა წელიწადში წარმადობით.

ფინეთში ამენებულია საფუარის ქარხანა, რომელიც ცელულოზის ნარჩენებისაგან 9—10 ათას ტონა ცილას ამზადებენ ბრინჯისა და სახამებლის ნარჩენებისაგან.

საქართველოში ცხოველთა საკვები ცილების წლიური მოთხოვნილება წელიწადში 60 ათას ტონას აღმატება. ფაქტობრივად უკანასკნელ წლებში (2000-2004წწ) ნახერხისა და მუყაოს ნარჩენებისაგან გიდროლიზის გზით ინარმოებოდა ცხოველთა საკვებათ, მხოლოდ 5.0 ათასი ტონამდე ცილოვანი საკვებად. ახმეტისა და ზუგდიდის ქარხნებში.

მიუხედავად მეცხოველეობის და მეფრინველეობის დაბალი განვითარებისა მის პროდოქტიულობის ამაღლებაზე არავინ ზრუნავდა. საქმე ის არის, რომ ამ დარგის განვითარებისათვის ტრადიციულად გამოიყენება დაბალი კალორიულობისა და ცილის შემცველობის საკვები. მეცხოველეობაში ნედლი და ხმელი ბალახი — (თივა და ჩალა), მეფრინველეობაში კი ხორბალი და ბალახი. ყველა ამ სახის საკვებში ცილის შემცველობა არ აღემატება 8-10%-ს, იმ დროს როდესაც ფრინველისა და მოზარდი ცხოველების ინტენსიური განვითარებისათვის აუცილებელია 30-40%—ცილის შემცველობის საკვები.

ცილა ცოცხალი ორგანიზმის ზრდისა და განვითარების აუცილებელი პირობაა, ამიტომ, თუ ჩვენ გვინდა ამ დარგის ინტენსიური განვითარება, პირველ რიგში უნდა ვიზრუნოთ მისი ხარისხიანი საკვები ბაზის უზრუნველყოფაზე.

მეცნიერებამ ამ საკითხში სერიოზული განაცხადი გააკეთა, მან მოგვცა ცელულოზისა და რთული შაქრებისაგან ცილის მიღების გზები. ხის დამუშავებით მიღებული ნახერხის ჰიდროლიზით ახდენენ არა ორგანული მჟავების — მარილისა და გოგირდის მჟავების საშუალებით, რაც საკმაოდ ძვირი და რთულია. ამიტომ დამუშავებულ იქნა კვების მრეწველობის ნარჩენებისაგან მიკრობიოლოგიური მეთოდით ცილის მიღება.

1981 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ მუშაკთა ინიციატივით ექსპერიმენტული ნაწილის ხელმძღვანელი ან. განსვენებული პროფ. გ. მიქელაძისა და ეკონომიკური ნაწილის ხელმძღვანელი პ. ჩაგლიშვილის ინიციატივით საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მხარდაჭერით შეიქმნა დარგობრივი სამეცნიერო — კვლევითი ლაბორატორია, რომელსაც დაევა არა ტრადიციული მატერიალური რესურსების პასპორტიზაცია. ექსპერიმენტული და ეკონომიკური კვლევის საფუძველზე გაანგარიშებულ იქნა მათი მოსალოდნელი რაოდენობა საქართველოს სახალხო მეურნეობის დარგებისა და ნარჩენების სახეობების მიხედვით.

კვების მეორადი ნედლეულის რაოდენობა საქართველოში (ათასი ტონა)

| დარგების დასახელება | ფაქტიურად 1990წ. | მოსალოდნელი 2010წ. |
|--|------------------|--------------------|
| 1. სულ კვების მრეწველობაში: (ყურძნის ჭაჭა და ლეკი, ლუდის, საკონსერვო შაქრის ჭარხლის, შაქრის ბადაგი, პურფუნთუშეულის, ჩაის და თევზ ზეთების). | 490.0 | 670.0 |
| 2. ხორცისა და რძის მრეწველობაში | 240 | 179.0.0 |
| 3. დამზადების, ვაჭრობის სამინისტროში და სოფლის მეურნეობის სისტემაში. | 322.0 | 394.0 |
| 4. საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ კვებაში. | 200 | 220.0 |
| სულ საქართველოში | 1605.0 | 2025.0 |

საქართველოში სამეცნიერო -კვლევითი ინსტიტუტები ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ (1980-1988წწ.) მეორადი მატერიალური რე-



მეცნიერება



სურსების ეკონომიკურ და ექსპერიმენტულ საკითხებში, მოსკოვის მიკრობიოლოგიის კვლევით ინსტიტუტთან ერთად: თსუ-ს დარგობრივი ლაბორატორიის 12-მდე ბიოლოგი და ქიმიკოსი 8 წლის განმავლობაში ნაყოფიერად შრომობდა: დამუშავებულ იქნა მეორადი რესურსებისაგან ცილოვანი საკვების დამზადების ტექნოლოგია და მისი გამოცდა, ჩატარდა ამ რესურსების რაოდენობის პასპორტიზაცია, დარგებისა და რაიონების მიხედვით. განსაკუთრებით აღსანიშნავია თსუ-ს დარგობრივ ლაბორატორიის პროფესორების (ან განსვენებულ) გივი მიქელაძისა და ამ სტატიის ავტორის ხელმძღვანელობით ჩატარებული ექსპერიმენტალური და ეკონომიკური კვლევა და კვლევის შედეგების სანარმოო გამოცდა. 1984 წლის სექტემბერში ახმეტის მიკრობიოლოგიურ ქარხანაში თსუ-ს დარგობრივი ლაბორატორიის მუშაკების მიერ დამზადებული იქნა მათ მიერ დამუშავებული ტექნოლოგიით ყურძნის ჭაჭისაგან 10 ტონა მაღალი ცილის შემცველი (35—40) ბიომასა და მიღებული პროდუქცია (ბიომასა) გამოყენებული იქნა ბროილერის გამოსაკვებად, 3 დღიანი წინილების გამოკვება წარმოებდა 67 დღის განმავლობაში, რამაც საუკეთესო შედეგები მოგვცა. ცილოვანი ბიომასისაგან გამოკვებილი იქნა ბროილერის სამი ჯგუფი, თითო ჯგუფი შედგებოდა 300 3 დღიანი ბროილერისაგან.

გამოცდის შედეგის დასადგენათ შეიქმნა სპეციალური სადგეუსტაციო კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს ტექნოლოგიები, სანიტარული სამსახურის მუშაკები, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი სპეციალისტები, საქართველოს საკვების წარმოების მთავარი სამმართველოს უფროსი და სხვა წამყვანი სპეციალისტები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის დარგობრივი ლაბორატორიის მუშაკები და ახმეტის მიკრობიოლოგიური ქარხნის სპეციალისტები და თსუ-ს დარგობრივი ლაბორატორიის სპეციალისტები — (აქტი 1 1984 წ. 24 სექტემბერი). 1985 წელს (1985 7018) საქართველოს ღვინის მრეწველობის კომიტეტი აკეთებს განცხადებას, რომ მას შეუძლია დაწყებული 1986 წლიდან ყოველწლიურად მიანოდოს კახეთის ზონის ქარხნებიდან 40 ათასი ტ. ღვინის წარმოების ნარჩენები. მათ შორის:

| | | |
|---|--------------------------|----------|
| 1 | ახმეტის ღვინის ქარხნიდან | 5000 ტ. |
| 2 | წინანდალის სანგაერთ. | 7000 ტ. |
| 3 | გურჯაანის | 10000 ტ. |
| 4 | ქინძმარაულის | 7000 |

| | | |
|---|------------------|------|
| 5 | სიღნაღის ღვკომ. | 5000 |
| 6 | წითელი—წყარო ღვ. | 5000 |
| 7 | ბაისუბნის ღვ. | 1000 |

(ცნობას ხელს აწერს მეღვინეობის კახეთის ზონის მაშინდელი მმართველი თ. ლოლაძე).

1984 წლის 10 სექტემბერს ასევე ჩატარდა ცილოვანი ბიომასით ქათმების გამოზრდა კოდის ჯორჯიაშვილების სახელობის მეფრინველეობის ფაბრიკაში, სადაც ამავე მეთოდით გამოზრდილი იქნა ქათმების სამი ჯგუფი. სამივე ჯგუფში შენარჩუნებულ იქნა გამოსაზრდელი წინილების რაოდენობის 84-86%. მათი დაკვლის შედეგად დადგინდა: პირველი ჯგუფის ერთი ქათმის საშუალო წონა 1793.89, მეორე ჯგუფის — 1796.87 და მესამე ჯგუფის — 1666.67 გრამი. საშუალო დღე-ღამური ნამატი შეადგენდა 26,19, 26,23 და 24,29 გრამს, რაც ათჯერ მეტია ვიდრე ჩვეულებრივი ტრადიციული საკვების გამოყენების შემთხვევაში. (კოდის მეფრინველეობის ფაბრიკის წერილი თსუ-ს ლაბორატორიის უფროსს გ. მიქელაძეს 10.09.84 01—11639).

ჩემ მიერ უნივერსიტეტის დარგობრივ ლაბორატორიაში ჩატარებული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შედეგები წარდგენილ იქნა საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტში. რის შესახებ 1984 წლის 28 დეკემბერს საქართველოს საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ქალბატონი ჩოფიაშვილი აცნობებს თსუ-ს პრორექტორს ბატონ ამალლობელს, რომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი გაცნობებთ, რომ: საგეგმო კომიტეტმა განიხილა თქვენს მიერ წარმოდგენილი მასალები კვების 87 ნარჩენებისა და მეორადი მეღვინეობის გამოყენების შესახებ, პავლე ჩაგელიშვილის მიერ შემუშავებული ცილოვანი საკვების სანარმოთა ობიექტები მართვის სტრუქტურის სრულყოფის საკითხი, რომელიც გათვალისწინებული იქნება საქართველოს მიკრობიოლოგიური მრეწველობის განვითარებისა და გადაადგილების გეგმის შედგენის დროს, კერძოდ კი გიდროლიზისა და საფუარის ქარხნების აბაშაში და გურჯაანში, საცდელ-ექსპერიმენტული ბაზის, მცხეთაში და ახმეტის ბიოქიმიური ქარხნის რეკონსტრუქციის დროს.

1985 წლის აპრილში საქართველოში ჩატარებული იქნა წარმოების ინტენსიფიკაციის კონკურსი, (გაზეთ ზარია ვოსტოკა 93 (18148) 23 აპრილი წ.) სადაც თსუ დარგობრივი ლაბორატორიის მუშაკებს მიენიჭათ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში მესამე ხარისხის პრემია და ფულადი ჯილდო, ყურძნის ჭაჭის მიკრობიოლოგიური მეთოდით ცილით გამდიდრების ტექნოლოგიის შემუშავებისათვის.





მეცნიერება



ხოლო 1989 წლის 15 მაისს სსრკ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა 4 მათგანზე — გივი მიქელაძეს, პავლე ჩაგელიშვილს, ლიანა ბალაშვილს და ლიანა ანდლულაძეს მიეცათ გამოგონების საავტორო მონომობა N1507787.

საკავშირო მიკრობიოლოგიის სამინისტროს თხოვნით, ჩემს მიერ შესწავლილი და წარდგენილი იქნა, ასევე მაშინდელი ლენინგრადისა და კრასნოდარის მხარის კვების მეორადი რესურსების რაოდენობისა და მათი სამრეწველო გამოყენების ეკონომიკის საკითხები.

1985 წელს საბჭოთა კავშირის მიკრობიოლოგიის სამინისტროს მაშინდელმა ხელმძღვანელობამ 1985 წელს გადაწყვიტა მცხეთაში აეშენებინა ცხოველური ცილების საცდელი წარმოება, რისთვისაც მან 1985 წლისათვის საქართველოს სოფლისმშენებლობის სამინისტროს გამოუყო ერთი მილიონ 850 ათასი მანეთი, ხოლო 1987 წლისათვის ორი მილიონ 850 ათასი მანეთი. მშენებლობა დაიწყო მცხეთიდან გადასასვლელ ხიდიდან, ჩაყარა საძირკველი და ამოყვანილი იქნა ბეტონის კოლონები. (რომელიც დღესაც ცენტრალური მაგისტრალიდან კარგად ჩანს), მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის გამო მშენებლობა შეჩერებული იქნა.

ჩვენი აზრით სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარება, განსაკუთრებით მეფრინველეობისა და მეცხოველეობის დარგების და მის ბაზაზე ადამიანისათვის აუცილებელი ცილებით, ამინომჟავებით უზრუნველყოფისათვის, დღეისათვის ყველაზე რეალური და მაღალრენტაბელური ღონისძიებაა, კვების მეორად მატერიალური რესურსების მიკრობიოლოგიური სინთეზი ცილებისა და ამინომჟავების სამრეწველო წარმოება. უკვე 25 წელი გავიდა მას შემდეგ მნიშვნელოვანი მაღალრენტაბელური რეზერვი ჩვენს თვალწინ შეუმჩნევლათ ქრება. დაუფერებელია მაგრამ ფაქტია, რომ ქვეყანას ჰქონდეს მილიონობით ტონა მეორადი, თუმცა პირველად ნედლეულზე არანაკლებ ეფექტიანი რესურსი, გქონდეს ტექნოლოგია და შენს თვალწინ იგი კანალიზაციის ქსელში ნიაღვრად ჩაედინებოდეს ან სანაგვეებზე იყრებოდეს, წამლავდეს ატმოსფეროს და ამ დროს შენი მოსახლეობა ხორცს ბაზარზე სიძვირის გამო ვერ ყიდულობდეს. **ფაქტია, რომ ყოველწლიურად საქართველოში ორ მილიონ ტონამდე მეორადი ნედლეული იყრება და იღვრება, რომლისგანაც ახალი ტექნოლოგიით შეიძლება დამზადდეს, სულ მოკლე დროში და მინიმალური დანახარჯებით 1.5 მლნ ტონა მაღალი ცილის შემცველი ცხოველთა საკვები, რაც სრულიად საკმარისია საქართველოს**

მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ინტენსიური განვითარებისათვის.

გულდასაწვეტია, რომ ასეთი სასიცოცხლო და ქვეყნისათვის კეთილდღეობის მომტან საკითხს, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლაბორატორიის მუშაკებმა 10 წელზე მეტი დრო მოანდომა და წარმატებით გადაწყვიტა, დღეს ყველასაგან მივიწყებულია.

კვების მრეწველობის ნარჩენებისაგან ცხოველთა და ფრინველთა საკვებად მიკრობიოლოგიური ცილებისა და ადამიანისათვის ამინომჟავების წარმოებას, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები უკვე დიდი ხანია აწარმოებენ. მაგალითად აშშ, შვეიცარიაში, გერმანიაში და პოლონეთში. მთელ რიგ ქვეყნებში განსაკუთრებით ტეხასისა და სხვა შტატებში, ბრაზილიაში, ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრებში საკანალიზაციო ქსელიდან, მიღებული საკანალიზაციო ქსელის ფეკალური თხევადი მასიდან და მეცხოველეობის მან მიღებული ნაკელისაგან, მაღალი წნევისა და ტემპერატურის გამოყენებით ლებულობენ კონცენტრირებულ ცილოვან ბიომასას, საღებავებს, ფერმენტებს, ამინომჟავებს და სხვა ადამიანისათვის აუცილებელ პროდუქტებსა და პრეპარატებს.

საყოველთაოდ ცნობილია, ადამიანის ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა 20 სახის ამინომჟავა, რომელთაგანაც, თერთმეტი სახის ამინომჟავას ორგანიზმი თითონ გამოიმუშავებს საკუთარი რესურსებით, ხოლო დანარჩენი 9 ამინომჟავა უნდა მიიღოს გარედან. ამიტომ თითოეული ქვეყანა უნდა აწარმოებდეს საჭირო რაოდენობის ამინომჟავებს ან უნდა ყიდულობდეს მას სხვა ქვეყნიდან.

იტალიაში, განსაკუთრებით ეფექტიანად იყენებენ ყურძნის ნარჩენებს ჭაჭასა და ღვინის ლექს, მისგან ამზადებენ ღვინის ქვის მჟავას, ცილებსა და ამინომჟავებს, საღებავებსა და პექტინს, ფერმენტებსა და სხვა ადამიანისათვის მეტად საჭირო პროდუქტებს. ამიტომ აქ ყურძნის ნარჩენებს თვით ყურძენზე არა ნაკლები ღირებულება აქვს.

მეორადი ნედლეულისაგან საქართველოში ყოველწლიურად შესაძლებელია მივიღოთ 150 ათასი ტონა ცილოვანი ბიომასა 30-40% ცილის შემადგენლობით, რომელიც სრულიად საკმარისია საქართველოს მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ინტენსიური განვითარებისათვის.

ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ღირსების ორდენოსანი **პავლე ჩაგელიშვილი**



გიმონიორილის გაეოქვავული



პატარა სოფელია ჭაბურთა, ის ნახუნავოს შემადგენლობაში შედის. აქ 70-მდე ოჯახი ცხოვრობს, სოფელში ძირითადად ცხოვრობენ ცანავები, ფარულავეები, ოდიშარიები, ნულაიები, კირტავეები, სართანიები, ათათიები და სხვა სოფელს შუაზე ჰყოფს მდინარე ისკია, რომლის სათავეშიც არის „გიმონიორილის“ კარსტული მღვიმე. მღვიმე შედგება ორი ოთახისგან, რომლებიც ხელოვნურადაა შექმნილი.

მღვიმეს ორი შესასვლელი აქვს. პირველიდან, რომელიც ძალიან დაბალია და კაცი ძლივსძლივობით თუ გაეტევა, ისკიასწყალი გამოდის, მეორე შესავალი მშრალია და ვიწრო.

პირველი შესავლის, კედლის ხელოვნურ კაუჭზე, თოკი გამოვებით დამე (სოსო ათათია), გოშა ფარულავა და გიორგი ცანავა დარბაზში შევედით. წყალი ყინულივით ცივია. დაახლოებით 15 მეტრის გავლის შემდეგ გამოჭრილ კედელს ვხედავთ, რომელიც დაახლოებით 30-40სმ-ით წინ არის გამოწეული. წინსვლა შესაძლებელია.

არის ვარაუდი რომ კედლები მექანიკურად მოძრაობდა. ამის შემდეგ კიდევ ერთი კედელია და აქ მღვიმე ვიწროვდება და გზა აღმოსავლეთით მიემართება. წყალსა და გამოჭრილ კედელს შორის ცურვით წინსვლა შეიძლება, თუმცა სივინროვის გამო ძნელია. ამავე კედელზე ოვალური ფორმის ჭრილიცაა, ეს ჭრილი ჩრდილოეთისკენ მიდის, შემდეგ გამოჭრილი ვიწროვდება.

გიმონიორილიდან გამოსვლის შემდეგ ავედით მიმდებარე მთაზე – ნოსკია,

სადაც ჭაბურღილი გვეგულეობდა. ჩვენ თოკების დახმარებით ჩავედით ჭაბურღილში ყელში, რომელმაც დარბაზში გაგვიყვანა. აქ შეგვხვდა დიდი რაოდენობით სტალაგმიტები, აქვე ვნახეთ შუაზე გადაჭრილი ჭური, რომელსაც უამრავი ნახვრეტი ჰქონდა.



დარბაზი მაღალ ყელიანია: სიგრძე 8 მეტრი, სიგანე 15 მეტრამდე იქნება. სიმაღლე 4 მეტრს აღწევს. დარბაზის კედლებს, ორივე მხრიდან ქვესკნელი აქვს. სოსო ათათია თოკების დახმარებით ჩასულა მარჯვენა ქვესკნელში, დაახლოებით 5 მეტრამდე და უნახავს ჭრილი, გზა რომელიც გიმონიორილისკენ მიემართება და სავარაუდოდ უერთდება კიდევ მღვიმეს. დარბაზის მარცხენა მხარეს ნახეს გამოჭრილი ოთახი, სადაც ზუსტად მართკუთხა პარალელიპედის ფორმის





საუნჯე



ქვას გადაწყდენ. სავარაუდოა რომ სალოცავად გამოიყენებოდა. მთაზე უამრავი ჭაა, ყველა ხელოვნურადაა დახურული. იმავე მთაზე „ნახტუს“ მიდამოში, გზის გაფართოების დროს გამოჩნდა კედელი. ჭიდან ამოსვლის შემდეგ სწორედ ამ „ნიშნიან კედელთან“ გადაინაცვლეს. კედელზე უცნობი ნარწერები იყო.

მარტივლის მუზეუმის სამეცნიერო ექსპედიციების დღიურებიდან საინტერესო იყო ჩვენი ექსპედიციების მუშაობაში ნახუნავოსა და ნაჩხურუში მღვიმეთა დათვალიერება იყო. რამდენადაც შევძელით გაგვეჩვენა, ეს მღვიმეები 1960 წელს ავტორთა ჯგუფის მიერ გამოქვეყნებულ, საქართველოს მღვიმეთა კადასტრში არ არის შეტანილი. ჩვენ შევძელით მღვიმეებში შესვლა და ფოტოგრაფირება.

ნახუნავოში ისკიას სათავეს, სადაც მღვიმე მდებარეობს „გიმონიორილს“ ეძახიან. მღვიმესაც იგივე სახელწოდებით მოიხსენიებენ. ამ სიტყვის ზუსტი ქართული შესატყვისის მოძებნა ცოტათი ძნელია. „ნიორია ძლაბი“ — არსებობს ასეთი გამოთქმა, რომელსაც წერნეტ, მოქნილად მოძრავი ქალიშვილის დასახასიათებლად იყენებენ. მღვიმიდან გამოსული წყლის ნაკადი (მდინარე ისკია) ვინრო, მიხვეულ-მოხვეული ხეობით ეშვება დაბლა, შესაძლოა, ამიტომაც ეძახიან „გიმონიორილს“, ვინროდ მავალს.

სხენებული მღვიმის შესახებ ცნობები ამ სოფლის მკვიდრმა სოსო ათათიამ, მოგვანოდა, რომელიც მღვიმეში არაერთგზის შესულა და გიმონიორილის საოცარი სამყაროც უნახავს. ჩვენც დავინტერესდით...


გიმონიორილი კარსტული მღვიმე აღმოჩნდა, საიდანაც მდინარე ისკია იღებს სათავეს. სათავესთან და შიგნითაც წყალი საოცრად სუფთა და ანკარაა, და როგორც ადგილობრივები ამბობენ, სამკურნალო თვისებებით ხასიათდება, კურნავს შაკიკს. ხშირი წვიმებისას ისკია დიდდება და მღვიმიდან ხმაურით

გამოედინება. იქვე იკვლევს გზას ქვემოთ, დასავლეთისკენ და ქმნის ისკიას ხეობას.

მღვიმე, სოფლის ჩრდილოეთით ორიოდ კილომეტრში მდებარეობს. მისადგომად ადვილია შესასვლელი ორად იყოფა. მარხენა მხარე, საიდანაც წყლის ნაკადი მუდმივად გამოდის, დაბალია. შევედით შედარებით მშრალი, მარჯვენა შესასვლელიდან. გავლა ვინრო, გლუვზედაპირიან კედლებს შორის ძალიან გაჭირდა. კედლები, მალე ქვედა ნაწილით ისე დაუახლოვდა ერთმანეთს, ვინრო და ღმრა დერეფანი შექმნეს. წყლიან არხში ფეხის ჩადგმა შეუძლებელი იყო. გავლა კედელ-კედელ, იქეთ-აქეთ ფეხმიბჯენილებმა ძლივს მოვახერხეთ. ამ ვინრო გასასვლელიდან, ფართო ლოდებიან დარბაზში მოვხვდით, რომლის სიმაღლე \geq ჩანდა. ნიშუმი წამოვიდეთ, გაშრობის შემდეგ ნარინჯისფერი გაქრა და ქვაზე ნაცრისფერი ლაქები დარჩა. დარბაზში მრავალი სტალაგმიტი აღმოვაჩინეთ. ამის შემდეგ სავალი არე იმდენად დავინროვდა, რომ ექსპედიციის ბევრი მონაწილე ადგილობრივ მკვიდრთაგან, იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო.

მღვიმეში ძნელი გზებით, დაახლოებით 150-160 მეტრი გავიარეთ და გაშლილ სიღრუეში, სტალაქტიტებიან და სტალაგმიტებიან დარბაზში აღმოვჩნდით. რის შემდეგაც გზა ჩაიკეტა, თუმცა სამი მიმართულებით ძალიან დაბალი გასასვლელები, ხვრელები ჩანდა. როგორც მეგზურმა (სოსო ათათია) გვითხრა, მღვიმე იქეთაც გრძელდებოდა, მაგრამ გზის გაგრძელება ასე მოუშზადებლად, სარისკო გვეჩვენა.

მღვიმე სველია, მასში გამდინარე წყალი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სუფთაა და ანკარა და არ იმღვრევა, განსხვავებით ნაჩხურუს მღვიმისგან, რომელიც გზადაზა, ჭებთან წყლის ნაკადებთან ერთად, ტალახიანი წყლებიც გვხვდებოდა.



**უყრნალ „სამეგრელოს“ რედაქცია
და გივი სიხარულიძე
გულითადად ვულოუწავთ
ზაჭონ ლორენსო შარანგიას
ახალი 2016 წლის შემოშროძანებს.
ვუსურვებთ ჭანმრთელობას, მხნეობას,
ოჯახის ნინსვლას და წარმატებებს.
მრავალ ახალ წელს,
ზაჭონო ლორენსო.**



**ლორანსო
შარანგია**

საბასტრული მოგზაურობა

ჰანო სინსაქა



ბავშვობაში გოგია უიშვილი მეცოდებოდა საახალწლოდ ერთ საკალანდო ღორს რომ დაკლავდა და დღეს მისი მშურს. სამაგიეროდ, გაჭირვებამ ჭკუა მასწავლა — ახალი წლიდან გადავწყვიტე ოჯახი სრულ ეკონომიაზე გადავიყვანო. ამ მიზნით საგასტროლო-საკონცერტო მოგზაურობა დავიწყე ნათესავეების, მოყვრებისა და ახლო მეგობრების ოჯახებში...



ურყუდება და მაგიდიდან გარბის, რაც დიდი შეღავათია მასპინძლისათვის.

გასტროლებს შევუდექით ჯერ ჩემს მშობლიურ ქალაქში. პირველად კარს მივადექით ძველისძველ ძმაკაცს, მერე მეორეს, მერე-მესამეს. სტუმრობის მიზეზს კი რა გამოლევს — ზოგი, ვითომ მომენატრა (თან ვლანძღავ, — არა გრცხვენია, ჩემსას რომ არ მოდიხარ მეთქი?) ზოგთან ვითომ გადაუდებელი საქმე მაქვს ზოგთან, ვითომ ვილაცამ რაღაც დამაბარა, ზოგი კიდე ვითომ კომერციულ საქმიანობაში უნდა ჩავაბა (ამ დროს მე თვითონ ჯიბეგამოფხეკილი დავდივარ). თან ბლოკნოტში ვწერ, თუ ვისთან მივდივარ სტუმრად, რათა არ შემეშალოს და ხელმეორედ არ ვესტუმრო.



პროგრამა ასე შევადგინე: ჩემი ვაჟი ილუზიონისტის როლში გამოდის განყოფილ სუფრასთან, თვალის დახამხამებაში შეუძლია პურმარილი თავის თეფშზე გადაანყოს და საათნახევრის განმავლობაში ხორაგს მუსრი გაავლოს. ჩემი გოგონა გემრიელ კერძებს შეექცევა და საინტერესოდ საუბრობს თანამედროვე ქართული კერძების მნიშვნელობაზე ადამიანის ჯანმთელობის გაუმჯობესების საქმეში, ცოლი კი კითხულობს ლექციებს ქმრებისა და დედამთილ-მამათილების დამუშავების უახლეს ტექნოლოგიაზე. მე თვითონ კარგად მეხერხება ექსპრომტების წერა, სიმღერა, ცეკვა განსაკუთრებით „ხორუმის“ შესავალი, დანოლილი რომ უთვალთვალებს მტერს (ამას ვაკეთებ ყანწის დაცლის შემდეგ) „ფარცაკუკუს“ ფინალი და შიგადაშიგ „განდაგანას“ ილეთები, ხოლო მეთხუტმეტე ჭიქის დაცლისა და ფეხის შეშლის შემდეგ - „ფერხული“. სადღეგრძელოებს ისეთს ვამბობ, რომ ხალხი ტირის, ზოგს გული

ქალაქს რომ მოვლილი, შემდეგ რაიონებში დავიწყებ საგასტროლო მოგზაურობას. მოყვრები და მეგობრები კი, ღვთის წყალობით იმედენი მყავს, მთელი ცხოვრება არ მეყოფა ყველას რომ თითოჯერ მაინც ვესტუმრო... ჩემი მაგალითი გადაიღო ზოგიერთმა ჩემმა მეზობელმა, ვისაც ბინა ჩემსავით გამოცარიელებული აქვს და ყაჩაღების არ ეშინია.

მაშ, ასე, „მოგზაურობა წარმატებით გრძელდება. მეგობრებო, მოყვრებო და ნათესავებო, მოვდივარ მელოდეთ, მიმიღეთ და ჩემი საკონცერტო პროგრამით დიდად ნასიამოვნები დარჩებით!.





იუმორი



წერილი სოფელ დედამთილს

ვერ გამიგია, რძალი ვარ, თუ შენი შვილის მსახური, აღარ მიჯერებს არაფერს, ლამის ამოვკრა ზანღური, სულ მე დამაწვა კისერზე მთელი ოჯახის სიმძიმე და სადამოდან დილაძე ათ საათს ძლივსლა ვიძინებ. აქეთ - სარცხი უოველდე, იქით - სადილის მზადება; სამსახურიდან რომ მოდის, ქმარი დაღლილი ბძანდება. თუ დაუუვირე ვაჟბატონს, ან ვცემე (ნერვებს რომ მიშლის), ჯერ უმნოდ გამებუტება, მერე ეელს იბრდღვნის ბოდიშით. სუფრას უოველთვის მე ვაწეობ (რად უნდა ცოლი ასეთ ღლაპს?) როცა ცხელ საჭმელს მივართმევ, გიუვარდეს მაგრად ჩაცეცხლავს, როგორ იკადრებს დილ-დილით ცოცხი მოუსვას იატაკს, უნდა გავავდო ბინიდან - ამზადებს ამის ნიადაგს. ზატოსნებას რა სჯობსო, ამბობს ეგ მართლა ქაქანა, სხვა ფულს ითვლის და ეს გლახა უნის გამომთვლელ მანქანას, გმადლობთ, რომ გამომიგზავნეთ ბლინკი გოჭი და არაეი, რძლის შეწუხება ამისთვის ქალაქში, მგონი არა ღირს, მოკითხვა ძვირფას მამამთილს (სიცილით ვკვდები) - „მამიკოს“, ჩემისთანა რძალს, მგონია, მეგლიც კი უნდა ამიგოს. ვინ აცხოვრებდა თქვენს მუტრუკს ქალაქში, ასეთ ბინაში? თან კაცად გამოვიყვანე ეს ჩემი ქმარი ფინაჩი-ზიანინოზე რას ფიქრობთ, რა ჭკუაზე ხართ ბავშვები? ეს ერთი „განკა“ გვიყიდეთ და ამით მორჩით მისიას? თქვენს დამადლებას, ავეჯი სჯობდა მეეიდა ნისიად. იქნებ გსურთ სოფლად გეწვიოთ, ვითონხოთ და ძროხა მოვწველოთ! ამას თუ ფიქრობთ, სჯობია, ზასუნი სულ არ მომწეროთ!





ზუგდიდი



სრულიად საქართველოს მეცნობს

ჯილდო ადგილობრივ თვითმმართველობაში საუკეთესო პრაქტიკისთვის

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში უკიდურესად შეჭირვებული ოჯახებისთვის სახლების მშენებლობა იმ 10 საუკეთესო პროექტს შორის დასახელდა, რომელიც 2015 წელს თვითმმართველ ორგანოებში განხორციელდა. დაჯილდოების ცერემონიალი კონფერენციაზე “ადგილობრივი თვითმმართველობა – საუკეთესო პრაქტიკა 2015”-ის ფარგლებში გაიმართა. კონფერენციას პრემიერ მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, მთავრობის წევრები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, გუბერნატორები, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების გამგებლები და მერები ესწრებოდნენ.



ადგილობრივი თვითმმართველობის საუკეთესო პრაქტიკისთვის ჯილდო ზუგდიდის გამგებელ ედიშერ თოლორაიას საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა გიორგი ამაშუკელმა გადასცა.

შეგახსენებთ, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 16 სოციალურად დაუცველ ოჯახს საახალწლოდ ახალი, კეთილმოწყობილი სახლები გადაეცემათ. კეთილმოწყობილ სახლებთან ერთად ბენეფიციარებს მზის გამათბობლებიც დაუმონტაჟდებათ. სოციალურად დაუცველთა სახლების მშენებლობისთვის 380 ათასი ლარი დაიხარჯა. პროექტი 2016 წელსაც გაგრძელდება.

სოციალურად მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მქონე ოჯახები, რომლებსაც სახლები უშენდებათ სპეციალურმა კომისიამ შეარჩია. აქცენტი კი იმ სოციალურად დაუცველ ოჯახებზე გაკეთდა ვინც ავარიულ სახლებში ცხოვრობდა, ან საცხოვრებელი დამწვარი ჰქონდა. პროექტს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა ახორციელებს.





რეგიონი



ახალი საავტომობილო ხიდი ლაფაბარას უბანში

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ურთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ლეფეტერეს უბანში ახალი საავტომობილო ხიდის მშენებლობა დასრულდა. მუნიციპალიტეტის გამგებელმა ედიშერ თოლორაიამ და გამგებლის მოადგილემ გიზო სართანიამ ახალი საავტომობილო ხიდი შეამოწმეს. მდინარე ჯუმზე 20 ნელზე მეტია ხიდი ავარიულ მდგომარეობაშია. გარე სამყაროს მონყვეტილი იყო უბნის მოსახლეობა ვინაიდან, შემოვლითი გზა ამ დასახლებაში არ არსებობდა. მდინარეზე ხიდის არარსებობის გამო ფუნქციონირება შეწყვეტილი ქონდა კირის მომპოვებელ კარიერსა და სამშენებლო ბლოკის დამამზადებელ საამქროს. ახალი საავტომობილო ხიდის სიგრძე მდინარე ჯუმზე 48 მეტრია. ხიდი ნაგებია მაღალი სიმძლავრის რკინის კონსტრუქციისგან რაც,



მყარ საფუძველს წარმოადგენს ხიდზე მაღალი გამავლობის ავტომობილების გადაადგილებისას. მდინარეზე ხიდი რკინა-ბეტონის ხიმინჯებით განთავსდა, რაც სიმყარესა და მრავალწლიან სარეალიზაციო გარანტიას იძლევა. ახალი ხიდის მშენებლობა რეგიონალი განვითარების პროექტების ფონდიდან დაფინანსდა და მისი ჯამური ღირებულება 205 000 (ორასხუთი ათას) ლარს შეადგენს. ახალი ხიდის მშენებლობით სოფელ ურთის მოსახლეობა უსაფრთხოდ და კომფორტულად გაივლის ხიდეზე და ასევე გაუმჯობესდება მიმოსვლის პირობები სოფელში არსებულ კირისა და ბლოკის საამქროებში.



ედიშერ თოლორაია პოლონეთში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი ლევან შონია, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი ედიშერ თოლორაია, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველობებთან ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი გიორგი ამაშუკელი, კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი, ქალაქ რუსთავის მერი - ირაკლი ჯიქია, ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და -ის წარმომადგენლები პოლონეთში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებიან.



ვიზიტის ფარგლებში საქართველოს დელეგაციამ შეხვედრები გამართა შვენტოკჰისკას რეგიონის ქალაქ კელცესში. ვიზიტის მიზანია, დელეგაციის წევრები გაეცნონ პოლონეთის რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობების ტერიტორიული მოწყობის სისტემას, გაიზიარონ ევროპული გამოცდილება ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონების განვითარების კუთხით, შეაფასონ დეცენტრალიზაციის პირობებში ადგილობრივი თვითმმართველობებისა და რეგიონული ორგანოების ეფექტური მუშაობა.

ამ მიზნით დელეგაციის წევრებს შეხვედრები უკვე ჰქონდათ შვენტოკჰისკას რეგიონის მარშალის მოადგილე იან მაჩკოვიაკთან და ქალაქ კელცეს მერთან ვოიცეხ ლუბავსკისთან.

ქართული დელეგაცია ასევე გაეცნობა სტარახოვეცის განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სპეციფიკას, რომელიც თავისი არსით ერთერთი საუკეთესო მაგალითია პოლონეთში.





- შინ მაინც არაფერს აკეთებ და თუ გინდა, ამ საახალწლოდ პატარა ფულსაც გაშოვნინებ და შენი თამროც კმაყოფილი დაგრჩება, - უთხრა შოთიკომ ძმაკაცს და გამომცდელად მიაჩერდა.

- რას მთავაზობ ამისთანას? - გაკვირვებულმა შეხედა თენგომ „ბიზნესპარტნიორს“.

- შენმა ცოლმა შემომჩივლა, - უმუშევრობამ და უსაქმურობამ გაალოთა, ეგებ რამე მოუხერხო, თორემ ან მაგას მოვკლავ, ან მე მოვიკლავ თავსო. ხომ იცი, სანამ დიდ საქმეს წამოიწყებდე, პატარით უნდა დაიწყო... იმ ფირმამ, სადაც მე ვმუშაობ, საახალწლოდ ასეთი რამ მოიფიქრა - „თოვლის ბაბუა გამოძახებით“. ყველგან გავაკარით განცხადება, ტელეფონიც მივუთითეთ და იცი, რამდენმა დაგვირეკა? შვიდი თოვლის ბაბუა დავიქირავეთ, მაგრამ ნაღდად არ გვეყოფა... ჰოდა, მერვე შენ იყავი. ჩაგაცმევთ სანტას ან ნაღდი ქართველი თოვლის ბაბუს ტანსაცმელს და ჩამოუარე ოჯახებს. საჩუქრებს ჩვენ ჩაგინცობთ ხურჯინში, ლექსები და სიმღერები კი იცი და დალევაც გიყვარს. გამოძახება კი ფასიანია.

თენგოს გულს მოეშვა - თამროსა და ბავშვებს გავახარებო და ულაპარაკოდ დათანხმდა ძმაკაცს. წელიწად-წახეცარი სამსახურს ამაოდ ეძებდა. სადაც მივიდა, ყველგან ღიმილით დაჰპირდნენ, - დაგირეკავთო, მაგრამ არავის დაურეკავს. მოლხენა დიდებული იცოდა და ხან ვინ ეძახდა გაშლილ სუფრასთან, ხან - ვინ. შინ გვიან მისულს ცოლი ქოქოლას აყრიდა, - დაგეცეს მეხი, ისევ დალიეო? „მეხდაცემული“ თენგო ჩუმად შეიპარებოდა საძინებელში და... იძინებდა მეორე დღის იმედით... სამაგიეროდ, ახლა მშვენიერი საქმე გამოუჩნდა - გაერთობოდა და ფულსაც იშოვიდა.

შოთიკომ მისალოცი ტექსტი მისცა, რომელიც ტრადიციულად ასე იწყებოდა: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი“. ამის მერე უფლება ჰქონდა, იმპროვიზებულად გაეგრძელებინა „სამუშაო“.

გული კი დასწყდა, რომ ნაბადი და სვანური ქუდი არ ერგო, მაგრამ თავი ინუგემა, - არა უშავს,

მაინც ევროპისა და ამერიკისკენ გვიჭირავს თვალი და რაც არის, არის, ვიქნები სანტა კლაუსიო.

31 დეკემბერს დილიდანვე გამოენყო სანტა კლაუსის წითელ ტანსაცმელში, თეთრი წვერ-უღვამიცი მორგო და სარკის წინ პატარა რეპეტიციაც გაიარა... საღამოს 9 საათზე ხელში დამკვეთთა გრძელი სია დაიჭირა, საჩუქრებით სავსე სანტას „ბოხჩა“ მხარზე გადაიკიდა და გაუდგა გზას.

...ყველა ოჯახში ბავშვები ყვირილ-ხივილით ეგებებოდნენ, გაფართოებული თვალებით უცქერდნენ თეთრწვერა „სანტა კლაუსს“, რომელიც ქართულად ულოცავდათ ახალ წელს და ცეკვავდა კიდეც. რაღა თქმა უნდა, ჭიქის აუნწვლად არ უშვებდნენ და ჩვენი სანტა-თენგო გვარიანად გამოგვიფერა... ქეიფ-ქეიფით მიულოცა 14 ოჯახს დღესასწაული. ბოლოს, ფეხარეული, ღიღინ-ღიღინით მიადგა ბოლო, მეთხუთმეტეს. დარეკა ზარი და კარი ფართოდ გაიღო. თენგომ ჯერ კანფეტები შეყარა, მერე მარჯვენა ფეხი ზღურბლს გადააბოტა და ხმამაღლა დაიძახა: „შემოვდგი ფეხი, დაგეცეთ მეხი!“ ამის თქმა იყო და ქეროში სწვდა ოჯახის უფროსი, - შენ დაგეცეცს ოჯახი, რამ გათქმევიანა ახალი წლის ღამეს ამისთანა რამე, მეკვლე მაინც არ იყო... თუ სმა არ შეგეძლო, რას სვამდი ჩემდა ჭირად!.. იმ თქვენს ფირმას თუ არ ვუჩივლო, კაცი არ ვიყო და ჩვენი „სანტა“ კიბზე დააგორა. მეორე დღეს, გამოფხიზლებულმა თენგომ რომ გაიგონა თამროს ქოქოლა, - დაგეცეს მეხი, არც თოვლის ბაბუად ვარგისარო, მიხვდა, რატომაც წამოსცდა მეთხუთმეტე ოჯახში ასეთი „დალოცვა“.

მართალია, „პატარა ფული“ იმ საახალწლო დღეებში ვეღარ იშოვა თენგომ, მაგრამ სანტა კლაუსის ერთდღიანი როლი „ფეხბედნიერი“ გამოდგა. ძალიან მალე ისეთი სამსახური იშოვა, რომ თამროს წყევლა-კრულვა მაშინვე შეწყდა. მეთხუთმეტე მასპინძელს კი აღარ უჩივლია, რადგან შოთიკოს ფირმამ საჩუქრებით დაზურგული ერთი „ნაღდი“ ქართველი თოვლის ბაბუა და ერთიც - სანტა კლაუსი გაუფზავნა მისალოცად.



2016



დაღიანების სანახაურო

იანვარი

| ორ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ | კვ |
|----|-----|-----|-----|-----|-----|----|
| | | | | 1 | 2 | 3 |
| 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 |
| 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 |
| 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 |

თებერვალი

| ორ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ | კვ |
|----|-----|-----|-----|-----|-----|----|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |
| 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 |
| 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 |
| 29 | | | | | | |

მარტი

| ორ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ | კვ |
|----|-----|-----|-----|-----|-----|----|
| | | | | 1 | 2 | 3 |
| 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 |
| 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 |
| 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 |

აპრილი

| ორ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ | კვ |
|----|-----|-----|-----|-----|-----|----|
| | | | | 1 | 2 | 3 |
| 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 |
| 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 |
| 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | |

მაისი

| ორ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ | კვ |
|----|-----|-----|-----|-----|-----|----|
| | | | | | 1 | |
| 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 |
| 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
| 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 |
| 30 | 31 | | | | | |

ივნისი

| ორ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ | კვ |
|----|-----|-----|-----|-----|-----|----|
| | | | | | 1 | 2 |
| 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
| 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 |
| 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 |

ივლისი

| ორ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ | კვ |
|----|-----|-----|-----|-----|-----|----|
| | | | | 1 | 2 | 3 |
| 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 |
| 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 |
| 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 |

აგვისტო

| ორ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ | კვ |
|----|-----|-----|-----|-----|-----|----|
| | | | | | 1 | |
| 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 |
| 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
| 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 |
| 30 | 31 | | | | | |

სექტემბერი

| ორ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ | კვ |
|----|-----|-----|-----|-----|-----|----|
| | | | | | 1 | 2 |
| 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
| 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 |
| 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 |

ოქტომბერი

| ორ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ | კვ |
|----|-----|-----|-----|-----|-----|----|
| | | | | 1 | 2 | 3 |
| 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 |
| 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 |
| 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 |

ნოემბერი

| ორ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ | კვ |
|----|-----|-----|-----|-----|-----|----|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |
| 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 |
| 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 |
| 29 | 30 | | | | | |

დეკემბერი

| ორ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ | კვ |
|----|-----|-----|-----|-----|-----|----|
| | | | | | 1 | 2 |
| 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
| 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 |
| 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 |
| 31 | | | | | | |